# ბურჯი ეროვნებისა

№ 1-2
2002

975/2
2002/2



ბესარიონ
ჟორჟენაძის
საზოგადოების
ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
და გამომცემელი
გიორგი ბოგოლაშვილი

რედაქტორები:
ციცინო (ნინო)
კვანტალიანი,
მარინე კიკონიშვილი,
რუსუდან ლანდია,
ნანა ლოლაძე,
რამაზ ქურდაძე,
ნინო ჭუმბურიძე.

მხატვრული რედაქცია და
დიზაინი
ირაკლი ავალიანისა

მხატვარი
გია ლაშხი

კონსულტანტი
იოსებ ჭუმბურიძე

რედაქციის გამგე
მაია კობიაშვილი

სარედაქციო საბჭო:
მარინე ბერიძე,
გენადი ბურჭულაძე,
ლეილა გეგუჩაძე,
კახა გაბუნია,
თორნიკე გოგოლაშვილი,
ლილი გოქსაძე,
ქეთევან დათუკიშვილი,
ნანა ურთაშვილი,
ჭაბუკა ქირია,
მიხეილ ქურდიანი,
ლევან ლეინჯილია,
ინგა ლუტიძე,
გიორგი წიბახაშვილი,
თამაზ ხმალაძე,
ნინო ჯორბენაძე.

დირექტორი
მირიან ხაჭვანი

რეგისტრირებულია ქ. თბილისის
მთაწმინდის რაიონის სასამართლოს
მიერ 12.04.99. № 4/9-88.
მისამართი:
პ. ინგოროყვას ქ. №8
ტ. 99-75-48

E-mail. burji@posta.ge



# ისევ მოვიდა ახალი წელი

ისევ მოვიდა ახალი წელი,
მაგრამ კარგ რამეს მაინც არ ველი.

რაც ძველი იყო, ისევ ახალი...
ორივეს ერთად დაუდგეს თვალი!
ვაი! ვაი და სხვანი...

ჩვენი მწერლები, როგორც რომ მგლები
ერთი მეორეს რომ დარევიან,

წმინდას ამღვრევენ და უწმინდურს კი,
დიდის ხიამით სწმენდენ და ჰგვიან.
ვაი! ვაი და სხვანი...

გლეხები — თავადს, თავადი — გლეხებს,
ერთი მეორეს გადაამტერეს!..

ჰკლავენ ერთმანეთს, აღარ ჰზოგავენ,
ჩვენი ცხოვრება მათ აამტვერეს!
ვაი! ვაი და სხვანი...

გარეშე მტრებიც აღარ გვზოგავენ,
გადაგვიხლართეს ქართველებს გზები!

ერთად მოგვადგნენ... გაგვანადგურონ —
მარცხნივ სომხები... მარჯვნივ რუსები!
ვაი! ვაი და სხვანი...

აკაკი

(კრებულიდან: უცნობი აკაკი, 2001 წ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბურჯი ეროვნებისა

BURJI EROVNEBISA

№1-2 (50)

2002

259



უმთავრესი ბურჯი ეროვნებისა გახლავთ სამშობლო ენა.

ილია

გამოდის თვეში ერთხელ

ფასი 1 ლარი

## შინაარსი

**სახელმწიფო ენა**

ნუ დავაბნევთ მსმენელს, ანუ აჩქარება წელიწადში ერთხელ ........ 2

**ბ. ჯორბენაძე – 60**

**თ. კიკაჩეიშვილი,** შენთან დარჩენილი ტკივილის სითბო ........ 6

**თვალსაზრისი**

**გ. წიბახაშვილი,** რა ერი წახდეს, ენაც დაეცეს ........ 10
**მ. მჭედლიძე,** თავისუფლების საზღვრისათვის ხელოვნებაში ........ 14
**ა. ხარანაული,** წმინდა წერილის თარგმანები (წერილი I) ........ 17
**ი. ღარიბაშვილი,** გრიგოლ ორბელიანის მრწამსისათვის ........ 20

**ენა და მწერალი**

**ნ. წულეისკირი,** „როდის კარგავს სიტყვა სხივმოსილებას“ ........ 15
**ნ. შატაიძე,** მწერლობის საძირკველი ენაა ........ 16

**უცხოელი მოკეთე**

ძნელი, მაგრამ ლამაზი ენაა ქართული ........ 22

**ო, ენავ ჩემო!..**

ქართული პრესის „ლიდერთა“ ქართული!.. ........ 25
საით მივყავართ ამ გზას? ........ 26
„ქალის ადამიანის უფლებები ნაბიჯ-ნაბიჯ“ ........ 26
ქართული გაზეთის წასაკითხად საკმარისია ქართულის ცოდნა? ........ 27

**ჩვენი სკოლა**

**მ. ტაბიძე,** სძინავთ, ვიდრე ცოცხალთა ფიქრები არ გააღვიძებენ ........ 28
**მ. ლომია,** „სრულ იქმნას სულითა და ხორცითა“ ........ 30

**ახალი წიგნები** ........ 18, 19, 21

**ინფორმაცია** ........ 32

22490

*გარეკანის III-IV გვერდებზე – ტაო-კლარჯეთი, იშხანის მონასტერი*

*I გვერდზე – ბაზალეთის ეკლესია. ზარიძეთა მიერ შეწირული ზარი;*

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით შოუპროგრამა „რას ფიქრობს ხალხი“ 25 იანვარს ქართული ენის პრობლემებზე მსჯელობას დაეთმო. გადაცემაში სხვებთან ერთად მონაწილეობდა ჟურნალის „ბურჯი ეროვნებისა“ მთავარი რედაქტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი. ბატონი გიორგი ის პიროვნებაა, ვისთვისაც ქართული ენა ყველაზე დიდი ავტორიტეტია და მის პრობლემებზე ყოველთვის მწვავედ და მოურიდებლად საუბრობს. თუმცა ხსენებულ გადაცემაში ამის საშუალება არ მიეცა.

№14 (19576) 2002 წ.

# ნუ დააბნევთ მსმენელს, ანუ აჩქარება წელიწადში ერთხელ?!

**— ბატონო გიორგი, აშკარად ჩანდა, რომ სათქმელი ვერ თქვით. მაინც რის თქმას აპირებდით?**

- მართალია, სტუდიაში ვიჯექი, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ გადაცემაში ვმონაწილეობდი. მხოლოდ ერთი რეპლიკის საშუალება მომეცა, ისიც - სანახევროდ, ჩანს, ასე იყო დაგეგმილი. მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი ისაა, რომ ასეთი მტკივნეული და სადავო საკითხები პროფესიონალებმა უნდა განიხილონ. დარბაზს რომ გადავხედე, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ბევრი ადგილების შესავსებად იყო მიწვეული, ძველი, საბჭოური მეთოდით.

**— თქვენი რეპლიკა ასეთი იყო: „ნუ დააბნევთ მსმენელს, სიმართლე ვუთხრათ“. მაინც რა არის ეს სიმართლე?**

- ამ შეკითხვას მოკლედ და ერთმნიშვნელოვნად ვერ ვუპასუხებთ. მაგალითად, დაისვა შეკითხვა: გვაქვს თუ არა ქართული სალიტერატურო ენის ნორმები? ამ კითხვას მარტივი პასუხი აქვს: რა თქმა უნდა, გვაქვს, და ეს იცის ყველამ, ვისაც საშუალო სკოლის პროგრამა გაუვლია. მაგრამ არ გვაქვს მექანიზმი, რითაც ამ ნორმების დაცვას გავაკონტროლებდით. სხვაგვარად: არა გვაქვს საკანონმდებლო აქტი, რომელიც სახელმწიფო ენის მიმართ ჩვენს იურიდიულ პასუხისმგებლობას განსაზღვრავდა.

**— ენის შესახებ კანონს გულისხმობთ?**

- მოდით, ასე ვთქვათ: კანონი იქნება ეს, თუ სხვა სახის სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც საქართველოს მოქალაქის პასუხისმგებლობას განსაზღვრავდა სახელმწიფო ენის მიმართ.

**— კი, მაგრამ ხსენებული გადაცემა ხომ არსებითად ქართული ენის შესახებ კანონზე, უფრო სწორად, კანონ-პროექტზე მსჯელობას მიეძღვნა. „მთავარი მონაწილენიც“, უდავოდ, ამ პრინციპით იყვნენ შერჩეულნი: ლევან ღვინჯილია — ენის სახელმწიფო პალატის თავმჯდომარე (ეს კანონ-პროექტი სწორედ პალატამ მოამზადა), გუჩა კვარაცხელია — ქართული ენის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (აქ ეს კანონ-პროექტი რამდენჯერმე განიხილეს), მანანა გიგინეიშვილი — პარლამენტის ქართული ენის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე (ქვეკომიტეტში ამჟამად დევს განსახილველად კანონ-პროექტი), გურამ შარაძე — პარლამენტარი (ვინც დაჟინებით მოითხოვს კანონ-პროექტის განხილვას და მიღებას).**

- დიახ, გადაცემა ამ მიმართულებით წარიმართა და ძირითადი კითხვაც ეს იყო: გვჭირდება თუ არა კანონი ენის შესახებ.

**— სიმართლე სადღა იმალებოდა?**

- იმის მტკიცებაში, თითქოს, ჩვენში არსებული რთული ვითარების გამო ამ კანონის მიღება ნაჩქარევი იყოს.

ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების წერილი ჩაიკითხეს. სწორედ ისინი გვირჩევდნენ, არ ავჩქარებულიყავით... რას ნიშნავს ნაჩქარევად მიღებული კანონი? ეს კანონ-პროექტი ხუთი წლის წინათ გამოჩნდა ასპარეზზე. იუსტიციის სამინისტროში მომზადდა და საჯარო განხილვაზე - ქართული ენის სახელმწიფო კო-

მისიის სხდომაზე — პირველად 1988 წლის 4 აპრილს იუსტიციის მინისტრმა წარმოადგინა. სხდომას ბატონი ე. შევარდნაძე თავმჯდომარეობდა. მოდით, თვალი გადავავლოთ ამ კანონ-პროექტის განხილვის ისტორიას და მერე დავასკვნათ, ვჩქარობთ, თუ საკითხს არასერიოზულად ვეკიდებით. 1988 წლის 4 აპრილს ითქვა, კომისიის წევრები ორი კვირის მანძილზე გასცნობოდნენ ამ პროექტს, ავტორებს გაეთვალისწინებინათ გამოთქმული შენიშვნები და უახლოეს ხანში კვლავ განხილულიყო კომისიის სხდომაზე...

კომისიის მომდევნო სხდომა კი... 1999 წლის 13 აპრილს გაიმართა (?!). სხდომას კვლავ პრეზიდენტი თავმჯდომარეობდა. პროექტი სხდომას ენის სახელმწიფო პალატის თავმჯდომარემ წარუდგინა. კვლავ შენიშვნები, კვლავ „უახლოესი დროისათვის“ გადადება და კვლავ ერთი წლის შემდეგ ჩატარებული სხდომა (ამჯერად სახელმწიფო მინისტრის მოადგილე თ. ისაკაძე თავმჯდომარეობდა)... საკითხის ისევ „უახლოესი პერიოდისათვის“ გადადება და ისევ მომდევნო წელს გამართული სხდომა...

კანონ-პროექტი მეოთხედ 2001 წლის 12 აპრილს განვიხილეთ ქართული ენის სახელმწიფო კომისიის სხდომაზე. ყველაფერი ნაცნობი სცენარით წარიმართა...

**— აპრილში კანონის განხილვა, ალბათ, ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებაა...**

- არა მგონია, ვცდებოდე: ეს იყო ღონისძიება ღონისძიებისათვის... ასე შეიძლებოდა უსასრულოდ გაგრძელებულიყო და გრძელდება კიდეც... ენის სახელმწიფო პალატამ მოახერხა ის, რომ კანონ-პროექტი პრეზიდენტმა პარლამენტს წარუდგინა და ქ-ნი მანანა გიგინეიშვილის ინიციატივით პარლამენტართა ერთმა ჯგუფმა წერილით მიმართა პრეზიდენტს, უკან გაეთხოვა ეს კანონი პარლამენტიდან...

**— ამის საფუძველი რა იყო?**

- მოდით, მე ჩავიკითხავ ადგილებს ქ-ნი მ. გიგინეიშვილის ინტერვიუდან (გაზეთი „ახალი ეპოქა“, № 100, 2001 წ): „ეუთოს წარმომადგენელთა აზრით, კანონ-პროექტი ძალიან დასახვეწია“. კანონ-პროექტი პირველად იუსტიციის მინისტრმა წარადგინა; ყველა განხილვაზე დადებითი დასკვნა ახლდა იუსტიციის მინისტრის ხელმოწერით... გამოდის რომ, თუ „ძალიან დასახვეწია“, ძალიან ცუდად გვქონია საქმე იუსტიციის სამინისტროში... საერთოდ, კანონ-პროექტს გაეცნო ყველა დაინტერესებული ორგანიზაცია... თურმე, „ეუთო გვთავაზობს ახალი ჩარჩო-კანონის შემუშავებას, საკუთარი ექსპერტების დახმარებას“... დავიჯერო, ჩვენ არ შეგვწევს ძალა, ასეთი კანონი შევქმნათ? იქვე ქ-ნი პარლამენტარი ასეთ საკითხს სვამს: „ენის პალატის კანონ-პროექტში წერია, რომ საქართველოს ყველა მოქალაქე ვალდებულია, ქართული იცოდეს. ფაქტია, თითქმის ერთმა მილიონმა ჩვენმა მოქალაქემ ენა არ იცის! მათ რას ვეუბნებით?“ კითხვის ასე დასმა ამ კანონ-პროექტზე საერთოდ უარის თქმაა. ეუთო რომ კანონს დაგვიწერს, ის რას ეტყვის ამ მილიონ მოქალაქეს? თუ - ვერაფერს, მაშინ ის კანონიც არ ივარგებს, ამ ლოგიკით; თუ რამეს ეტყვის - ახლა გვითხრას, გვასწავლოს...

**— ბატონო გიორგი, არაქართულენოვანი მოსახლეობის საკითხი რომ პრობლემურია, ესეც ხომ ფაქტია?...**

- კი, ბატონო, მაგრამ მსგავსი პრობლემები არ იდგა სხვა სახელმწიფოების, ვთქვათ, ბალტიისპირეთის ქვეყნების წინაშე? როგორ მოაგვარეს მათ? ენის კანონი ელჩი-ბეის პრეზიდენტობისას მიიღეს აზერბაიჯანში... ეროვნულ უმცირესობათა სათვისტომოების წარმომადგენლების წერილი, რომელიც ქალბატონმა მანანა გიგინეიშვილმა იმ გადაცემაში ჩაიკითხა, გვაფრთხილებდა, ასეთი კანონის მიღება ემიგრაციას გაზრდისო... არაქართულენოვანი მოქალაქე თუ

> ისე დამღუპველი და დამამხობელი არსად არის, როგორც ხალხის განათლებაში ძებნა პირადი ინტერესებისა, ნივთიერის სახსრის გაძლიერებისა, ფულის მოპოვებისა, – მეტადრე იქ, სადაც დედა ენას ზოგიერთნი ეპყრობიან ისე, როგორც ავი დედინაცვალი ეპყრობა მოძულებულს გერსა.
>
> *იაკობ გოგებაშვილი*

თავის ეთნიკურ სამშობლოში დაბრუნდება, ამას ემიგრაცია არ ჰქვია... თუ სხვა ქვეყანაში წავა, იმ ქვეყნის სახელმწიფო ენის ცოდნა არ დასჭირდება? რომელი ქვეყანაა ასეთი? რას ნიშნავს ეს მუქარა?

სამწუხაროდ, ამ წერილმა კანონ-პროექტის ბოლო განხილვისას კომისიაზე გამოთქმული შენიშვნები გამახსენა... დიახ, ეს წერილი შეკვეთილია... და კიდევ: ტელეგადაცემაში ზ. ხალილოვმა თქვა, ეს კანონი ეთნოკონფლიქტების წარმოქმნას შეუწყობს ხელსო და მაგალითად ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა მოიყვანა (1989 წელს რომ დამტკიცდა) - ამ პროგრამამ წარმოშვა ოსეთსა და აფხაზეთში კონფლიქტებიო. ეს აზრიც ერთ-ერთმა ქალბატონმა ბრძანა ენის კომისიის სხდომაზე... სხდომაზეც და გადაცემაშიც ლ. ღვინჯილიამ სწორად უპასუხა, მაგრამ ფაქტია, ამგვარი აზრის განვითარებას ვიღაც მართავს... „ახალი ვერსიის" მეოთხე ნომერში გ. ნოდია გვარწმუნებს: „ნეგატიურ შედეგს ეს კანონი ნამდვილად გამოიწვევს, ამის სრულ გარანტიას გაძლევთ"... რას ნიშნავს „სრული გარანტია"? რის „სრული გარანტია" გვაქვს, ამის „სრულ გარანტიას" რომ გვაძლევს გ. ნოდია?

და, საერთოდ, ძალზე საეჭვოდ დაემთხვა ეს გადაცემა და გ. ნოდიას პუბლიკაცია... ღმერთმა ქნას, ვცდებოდე... ნოდიას წერილი საგანგებო მსჯელობის თემაა. საერთოდ, მომაბეზრებელი გახდა ყველაფრის მცოდნეთა და ყველაფრის ექსპერტთა შეგონებანი. მით უმეტეს, როცა ანბანურ ჭეშმარიტებას ფილოსოფიად ნათლავენ და ჩვენ, მათი სიტყვებით რომ ვთქვათ, „პატრიოტულ ლოზუნგებს ამოფარებულ ანტიეროვნულ ძალებს", ჭკუას გვასწავლიან, თითს გვიქნევენ და „საერთაშორისო დონეზე" შერცხვენით გვემუქრებიან...

> ქართული საზოგადოებრიობა ორ მოპირდაპირე ნაწილად არის გაყოფილი: ერთი ნახევარი ლოცულობს იმაზე, რის დანგრევასაც ცდილობს მეორე ნახევარი.
>
> მიხეილ ჯავახიშვილი

**— ბატონო გიორგი, გ. ნოდია ხსენებულ ინტერვიუში ამბობს: „საზოგადოდ, ადამიანის უფლებაა, იყოს უნიჭო, ზარმაცი, გაუნათლებელი, სულელი, გონებაჩლუნგი"... განა, ამ უფლებას ვინმე ართმევს?**

- რა თქმა უნდა, არავინ; იყოს, ვინ უშლის, ოღონდ ჩვენ დაგვანებოს თავი! ისევ გადაცემას დავუბრუნდეთ. იმ ტელეგადაცემით შეურაცხყოფილი დავრჩი: როცა ყმაწვილი არნოლდ სტეფანიანი ჭკუას გვარიგებდა, დაანებეთ ქართული ენის დაფინანსებაზე ფიქრს თავი და ჯარს მოახმარეთ ის თანხაო... ანდა ზაურ ხალილოვი მენტორული ტონით რომ გვიხსნიდა, რატომაა ცუდი ენის კანონის მიღება... როცა შეეკამათნენ, განაწყენდა, სიტყვა დამამთავრებინეთო და დაამთავრებინეს... იურისტების, ენის სპეციალისტების ამდენი ხნის შრომა ერთი ხელის მოსმით ჩაგვიყარეს წყალში ბატონებმა სტეფანიანმა და ხალილოვმა!.. მაგრამ, თურმე, ასეა საჭირო... ეს მარტივად დაგეგმილი თამაში, უნიჭოდ დადგმული სკეტჩია. სუფლიორიც ნაცნობია...

**— და მაინც, რა ელის ენის კანონს? გვექნება კი ოდესმე?**

- წინა პარლამენტში შეიქმნა ქართული ენის ქვეკომიტეტი. მაშინ იმედი მომეცა, რომ ქართული ენის პრობლემები მოგვარდებოდა. ამდენი წელია, ეს ქვეკომიტეტი არსებობს და არანაირი საკანონმდებლო აქტი არ შეუმუშავებია. აგერ ექვსი თვეა, კანონი ენის შესახებ განსახილველად უდევს და არ განუხილავს... პირიქით, განუხილავად მისი უკან გაწვევა მოსთხოვა პრეზიდენტს... მხოლოდ სხვა კანონთა რედაქტირებისა და სტილური ჩასწორებისათვის ქვეკომიტეტი არ იყო საჭირო... მოდით, ასე შევხედოთ საკითხს: ჩვენ გვაქვს ქართული ენის სახელმწიფო კომისია, რომელსაც პრეზიდენტი თავკაცობს; ჩვენ გვაქვს სახელმწიფო სამსახური - ენის სახელმწიფო პალატა; ჩვენ გვაქვს პარლამენტში ქართული ენის ქვეკომიტეტი; ჩვენ გვაქვს... ვის ვუბრმავებთ თვალს? გამოდის, რომ

ეს კეთდება იმისათვის, ვიღაცას ვუთხრათ: აი, როგორ ვზრუნავთ ქართულ ენაზე! სინამდვილეში რა ხდება? კომისიისა და ქვეკომიტეტის მუშაობის შედეგებზე ზემოთ მოგახსენეთ; საკანონმდებლო ბაზის უქონლობა პალატის მუშაობას, ფაქტობრივად, აჩერებს...

ასეთ ფონზე რამდენიმე დეპუტატის მცდელობა პარლამენტში კანონის განხილვის თაობაზე უიმედო ჩანს... სიტყვა პრეზიდენტზეა; ვნახოთ, რას იტყვის იგი.

ერთი ფაქტიც მახსენდება: ერთ-ერთი წინა მოწვევის პარლამენტში ბატონმა თენგიზ ბუაჩიძემ დეპუტატებს სწორი ქართულით საუბრისაკენ მოუწოდა და დარბაზიდან რეპლიკა ესროლეს: „რა დროს ქართული ენაა!...“ ეს ხმამაღლა ითქვა, მთელი საქართველოს გასაგონად და არავის გაუკიცხავს ის დეპუტატი... იგივე სული ხომ არ ტრიალებს დღევანდელ პარლამენტში?... ბატონი თენგიზი კი, საუბედუროდ, აღარ არის!..

**— სამაგიეროდ პარლამენტში თუ პარლამენტს გარეთ უხვად არიან ისეთები, ქართულ ენას რომ უპირისპირდებიან...**

- გახსოვთ, ალბათ, თქვენს გაზეთში გამოვეხმაურეთ ამ ფაქტს: დასავლეთზე ორიენტირებულმა (თუ დასავლეთიდან მართულმა) პროვინციალიზმში რომ დასდო ბრალი იმათ, ვინც ქართული ენის ინტერესებს იცავს; ასე თქვა: ქართულს ის იცავს, ვინც უცხო ენა არ იცისო... ვერაგული ნათქვამია: ე. ი. უვიცი ხარ, თუ ქართულს იცავო... აღარ გათავდა ამ ყველაფრის მცოდნეთა თვითნებობა და თავხედობა!...

მოდით, კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი დასავლეთისაგან მართულ ქართველთა „საგმირო“ საქმეებს:

არ არის საჭირო ეროვნებაო და ამოიღეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებიდან!

სავალდებულო არ არის ქართული ენის ცოდნაო და ებრძვიან კანონს, რომელიც იურიდიულად პასუხისმგებელს გახდიდა საქართველოს მოქალაქეს ქართული ენის წინაშე;

ილია და სხვანი ბანძები არიანო, გალაკტიონი სოფლელიაო, რაღა დროს ესენიაო...

გააფთრებით ებრძვიან ქართულ ცნობიერებას, მორალს, ზნეობას იაფფასიანი და უზნეო კინოტელეპროდუქციით;

შეურაცხყოფენ ჩვენს წარსულს, წმინდანებს!..

იბრძვიან მართლმადიდებლობის წინააღმდეგ შემართულ სექტანტთა უფლებების დასაცავად;

და სხვა... და სხვა...

**— ბატონო გიორგი, არ უნდა ხდებოდეს ყოველივე ეს უანგაროდ, „სიყრმესა შინა უმეცრებით“...**

- სამწუხაროდ, ასეა. ამ ეკონომიკურად დაქცეულ ქვეყანაში იოლად იყიდება სული... მერე უცხოური ფონდები, გრანტები, ინსტიტუტები საკუთარ მშობელს აუგად მოგახსენიებინებს, ენას გაგაწირვინებს და სულგაყიდულები ჰყიდიან ისტორიას, კულტურას, ენას...

**— ბატონო გიორგი, ყველა მათგანი ერთად რომ ნახოთ შეკრებილი და ერთი შეკითხვის უფლება გქონდეთ, რას ჰკითხავდით?**

- ასე რამ შეგაძულათ საქართველო, ანდა ამდენს რას გიხდიან ამ სიძულვილში?

**— ამდენი საუბრის შემდეგ, იქნებ, მაინც ვთქვათ, რა იყო ზემოხსენებული გადაცემის მიზანი და რა შედეგი მივიღეთ?**

- მიზანი ჩემთვის მთლად ნათელი არ არის. შედეგი კი, ვფიქრობ, არცთუ სასიკეთოა: არ ბრუნავს საჩვენოდ ის წისქვილი, რომელზეც ვასხით წყალი... სხვისას ფქვავს, მტრისას!.. ქართულის მტრისას!.. ამიტომაც შოუ-პროგრამათა ავტორებს, ალბათ, მეტი ფიქრი მართებთ, გამუდმებით სხვის წისქვილზე წყლის დასხმა რომ არ გამოგვივიდეს...

ესაუბრა იოსებ ჭუმბურიძე

ენა ადამიანის ნაციონალური კუთვნილების უმაღლეს კრიტერიუმს წარმოადგენს: ჭეშმარიტი ფრანგი, გერმანელი, ინგლისელი და ა. შ. მხოლოდ ის არის, ვინც სრულყოფილად იცის შესაბამისი ენა...

მიშელ ტურნიე

თენგიზ კიკაჩეიშვილი

# შენთან დარჩენილი ტკივილის სითბო...



თავიდანვე განვმარტავ: წინამდებარე წერილი არ წარმოადგენს თვალსაჩინო მეცნიერის ბესარიონ ჯორბენაძის ფართო სამეცნიერო მოღვაწეობის რამდენადმე ვრცელი ანალიზის მცდელობას. ჯერ ერთი, ლიტერატორის კვალობაზე ჩემი ენათმეცნიერული კომპეტენციის ხარისხი და დონე სათანადოდაა შემოსაზღვრული, მეორეც, და რაც მთავარია, ბ. ჯორბენაძის ნაღვაწს შესაფერისი შემფასებლები ჰყავს ენათმეცნიერულ წრეებში და ცხადია, ისინი უკეთ წარმოაჩენენ მეცნიერის ნაშრომთა („ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები", „ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში", „ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში", „ქართული ენის მორფოლოგია", „ქართული დიალექტოლოგია" და სხვ.) მნიშვნელობას (ამ გამოჩენილი ენათმეცნიერის დაფასების დასტურად „ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების" არსებობაც კმარა).

თუმცა ვაფასებთ აღნიშნული შრომების ზოგად ღირებულებას და სათანადოდ შევიცნობთ რიგ კონკრეტულ საკითხთა სპეციფიკას, მაინც, ჩვენში განსხვავებულ პროფესიულ ინტერესს აღძრავს მეცნიერის ისეთი გამოკვლევები, როგორებიცაა „ბალავარი მწერლობისა", „ენა და კულტურა", „პოეზიის ენა"...

იკვლევს რა ქართული მწერლობის, ქართველ მწერალთა ენობრივი სტილის თავისებურებებს წიგნში „ბალავარი მწერლობისა" ბ. ჯორბენაძე წერს: „ენით ვლინდება მწერლის მსოფლხედვა, ხორცშესხმული პოეტური ხატების სახით... მეცნიერების სამი დარგის — ესთეტიკის, ლიტერატურის თეორიისა და ენათმეცნიერების — ერთობლივი ძალით ხდება შესაძლებელი მხატვრული თხზულების შესწავლა..." სწორედ მკვლევრის ამგვარი პოზიცია განაპირობებს ჩვენ განსაკუთრებულ დაინტერესებასა და დამოკიდებულებას ზემომითითებული ხასიათის ნაშრომთა მიმართ.

წიგნში „ბალავარი მწერლობისა" განხილულია პოეტური ენისა და სტილის საკითხები, ამ ზოგად პრობლემათა ფონზეა შესწავლილი დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას, კონსტანტინე გამსახურდიას, იოსებ ნონეშვილის, გიორგი ლეონიძის მხატვრული შემოქმედების რიგი სპეციფიკური საკითხი, ამავე დროს, საინტერესო კუთხითაა აქცენტირებული ზემოჩამოთვლილ შემოქმედთა პრინციპული ესთეტიკური კრედო. ნაშრომში მკაფიოდ ვლინდება ბ. ჯორბენაძის მეცნიერული დიაპაზონი, მხატვრული ალღო, პოეტური განსწავლულობა, დახვეწილი გემოვნება.

ასევე მრავლისმეტყველია შესანიშნავი შრომა — „ენა და კულტურა", რომელიც ავტორის გარდაცვალების შემდეგ დაისტამბა არაავტორისეული რედაქციით, რადგან მას არ დასცალდა ნაშრომის მონოგრაფიულად დამუშავება (მისი გამოქვეყნება ითავა „ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოებამ"). ეს გახლავთ უაღრესად მაღალშემეცნებითი ღირებულებების მქონე არა მხოლოდ ენათმეცნიერებისათვის, არამედ ზოგადად ქართული კულტურისათვის მნიშვნელოვანი ნაღვაწი ავტორისა, რომელშიც გაანალიზებულია სოციოლინგვისტიკის, ბილინგვიზმის, ენობრივი ეტიკეტისა და სხვა საინტერესო პრობლემები, რაც აქტუალურად მიგვაჩნია, ძალზე ფუნქციურადაა აქცენტირებული ენაში უკუფენილი ერის ისტორიის საკითხი. ნაშრომში ანტიკური ეპოქებიდან უახლეს საუკუნეებამდე მიზანმიმართულად შემოსაზღვრავს ენასთან, მეტყველებასთან, როგორც განსაკუთრებული ღირებულების მქონე ფენომენთან, დაკავშირებულ საკითხთა ფართო წრეს, მდიდარ საანალიზო მასალაზე დაყრდნობით ნათელყოფს ენის საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმად ცნობის საკითხს...

ჩვენ შორის სტუდენტობის პირველივე წელს დამყარებულმა ურთიერთობამ, მისმა პიროვნულმა თვისებებმა განსაზღვრეს ძირითადად ჩემგან სათქმელის თავისებური შინაარსობრივ-აზრობრივი მიმართულება თუ ინტონაცია — ეს გახლავთ გახსენება ახლობელი პიროვნებისა, რომელმაც ქართველი სწავლულის ღირსეულ ზნეობრივ ღირებულებათა ზეობის რწმენით იცხოვრა და ღრმად ვარ დარწმუნებული, ჩვენი ბედკრული ქვეყნისათვის ნიშანდობლივმა, მრავალი თვალსაზრისით უზნეო გარემომ, ერთიც იყო, შეურაცხყო მისი ამაყი სული და გული ყელში ამოუყვანა...

არიან პიროვნებანი, რომელთაც დიდ პატივს ვცემ.

სიყვარულით ვარ გამსჭვალული მათდამი — ასეთებზე რაიმეს დაწერას შინაგანი ნდომით თითქმის არასოდეს მიველტვი — მეტიჩრობაში არ ჩამომართვანმეთქი (მაქვს ასეთი განცდა) ან გადამლაშების ცდუნების საფრთხისათვის თავის არიდების გამო (ეს ორივე, ჩვევაა ჩემი და ავია თუ კარგი, ვერაფერს უზამ). ცხადია, ეს არ ეხება ჩემი, როგორც ლიტერატორის, კვლევის დიდობიექტებს — ქართველ რომანტიკოსებს, ილიას, აკაკის, ვაჟას, ალ. ყაზბეგს, კ. გამსახურდიას, გალაქტიონსა და სხვებს, აზრიც გამომითქვამს მათზე და შესაფერისად და შეძლებისდაგვარად მიშრომია კიდეც. ამ შემთხვევაში სპეციფიკურადაა გამკაფიოებული მოვალეობისა და უნარმოსილების შეთანაზრების დონისადმი პასუხისმგებლობის განცდა. სუბიექტური სითამამენი აქ მიზანშეუწონელია, სიტყვათშერჩევა საფრთხილო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნაბიჯილა დარჩება შეურაცხყოფამდე... და არიან ისეთებიც, რომელთა მეცნიერული ღირსების დახასიათებასთან ერთად შესაძლებლობა ჩნდება საკუთარ განცდა-ემოციათა, ინტიმურ გრძნობათა გამოხატვისა უფრო თამამად... მსგავს დამოკიდებულებას სულიერი სიახლოვე განაპირობებს, შინაგან დამახასიათებლობათა მიმართ გამახვილებული რეაგირება განსაზღვრავს, შენეულ-სუბიექტური ალღო კვებავს და ჩემი რწმენით — მეგობრობა ჰქვია. აქ სიახლოვე სხვაგვარად ზეობს, მაგრამ ამასთან, მხოლოდ სისათუთე ამაღლებს დამოკიდებულებას. ზღვარგადალახვა საგნის თვალთან მეტისმეტად ახლოს მიტანით გამოწვეულ აღუქმელობა-შეუცნობლობის მსგავს მდგომარეობას წარმოქმნის უთუოდ. ამიტომ სწორედ მეგობრობას ესაჭიროება ყველაზე მეტად გულმოფრთხილება, სულთპატივისცემა... ამ მოსაზრებებით ერთგვარად შებოჭილმა, მაინც გადავწყვიტე ჩემი მეგობრული განცდების, რომელიც რეალობას ეფუძნება, წერილის ფორმით წარმოჩინება, პათოსიც და ინტონაციაც ფორმითაა განსაზღვრული...



30 წელზე მეტი ხნის მეგობრობა გვაკავშირებდა, 10 წელია, გაგვერიდა... ცხადია, ამ დროის მანძილზე მრავალი მოსაგონარი შეიძლება აკინძოს ფიქრმა, მაგრამ ყოველივეს (შესაძლოა, სხვებზე მნიშვნელოვანსაც კი) ვერ მოიხელთებ და ბოლოს მაინც ასე გამოდის — როგორც სახე-ხატება მოგეახლება და დაგშორდება, მოგეჩვენება და გაქრება, თუმცა მკაფიობა და სიმკვეთრე ძარღვად გასდევს მაინც, ისე მოსაგონარ-გასახსენებელიც, რაც უნდა დაგებინდოს, მაინც საკმაოდ გამოკვეთილად და ცოცხლად შემოგრჩება მეხსიერებაში. შესაძლოა, „რაც გამახსენდას" პრინციპი ზადიც იყოს საზოგადოდ, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ადამიანის თვისებათა, მისი ყოფიერების გამკაფიოების გამომხატველობადაა მისაჩნევი, ვფიქრობ, აქ „რაც გამახსენდა" — „რაც არ დამვიწყებიას" ნიშნავს და უკვე გარდასულის ტკივილის სითბოთია „გაღვიძებული". შესაძლოა, ამგვარად გაგრძელება არააკადემიური სტილის გამოხატულებად მოგეჩვენოთ, მაგრამ თუ გულით სათქმელია, ითქვას, რა უშავს!...

... მახსოვს, 1959 წელს, პირველ კურსზე, სიგარეტი მთხოვა, „პრიმა-2"-ს ვეწეოდი — მივაწოდე, სხვებსაც მოსთხოვა შემდეგ, შევამჩნიეთ და „მივინიშნეთ" — „ეს ვინ არის, სულ სხვისი სიგარეტი უნდა!" აღმოჩნდა, მიზეზი ოჯახისეული აკრძალვა და მკაცრი კონტროლი ყოფილა... რა გასახსენებელი ეს გახლდათ, მაგრამ მოწევასთანაა დაკავშირებული ის ვითარება, რაც ბესოს (ასე ვეძახდით ახლობლები) უცნაურად გამოარჩევდა ბევრისაგან და რაც მისი ერთი სამაგალითო თვისების გამოხატულება იყო — მშობლისადმი მორიდების გრძნობისა: ბატონი არკადი ჯორბენაძის (უთვალსაჩინოესი ექიმი და დიდი პიროვნება გახლდათ) გარდაცვალებამდე შვილი მამასთან თამბაქოს არ ეწეოდა... ზოგი ამ ქცევას ზედსახელებით აღჭურავს, მისი ნებაა! მე დღემდე მხიბლავს ეს იგავური, არაკული ეპიზოდი და ისიც ხომ ცხადზე უცხადესია, სცენაზე საჩვენებლად არ ყოფილა გამოგონილი!

სხვა შორეული თუ ახლობელი წინაპრებისადმიც უჩვეულო მოწიწებას ავლენდა — არაორდინალურად გამოხატავდა ამას: ერთხელ ნაწვიმარ ამინდში, კარგა სველში მაინც კარში ვამჯობინეთ სუფრის გაშლა ლესაში, ჩვენი სამეგობროს სულისა და გულის რუსლან გოგიჩაიშვილის (აღარც ისაა ამქვეყნად — აცხონოს ღმერთმა მისი სული!) ოჯახში. რაიკომის მდივნობის ხანა გახლდათ. წამოდგა ბესო — თამადა და თავისებური შეუვალავი პათოსით შესვა დავით აღმაშენებლის სადღეგრძელო, დაიჩოქა ტალახიან მიწაზე ლამაზად აღგზნებულმა, ამაღლებულმა და მუხლის მოყრა მოსთხოვა ყველას. ჩვენ ხელს რა შეგვიშლიდა — დავკარით მუხლი აყალოს, მასპინძლის დროულმა ბიძებმაც — ნდომით, მზაობით, მაგრამ ვამჩნევ, თამადის ჯიქური მზერა რაიკომის მდივნისკენაა მიმართული. აწრიალდა მდივანი, ბოჩოლას თვალებით იმზირებოდა აქეთ-იქით, მაგრამ რაღა ექნა, შებზარული ხმით ერთიც გაიბრძოლა — რაღაც დამიგეთო მუხ-

ლქვეშ, სქელი ქაღალდის გრაგნილი მოურბენინეს, მაგრამ აღარ ინდომა და ჩაწვა ტალახში (ხშირად იხსენებდა სიცილით მერე ამ ამბავს თავად)...

სხვაგვარ გულისხმიერებას გამოხატავდა საკუთარი ჩიბათური ეზო-კარის, ყანა-ჭალის ხილვისას. ბავშვურად აღტყინდებოდა, ბიძა-ბიცოლას ფაქიზად, მაგრამ რაღაც აღტაცებული ტემპერამენტით მოიკითხავდა, გაქცევაზე იყო, ვერ ჩერდებოდა მათ სიახლოვეს დიდხანს, გადასერავდა აღმა-დაღმა შემოგარენის ვაკე-ზეგანს, მერე გადავკრავდით თლაშო არაყს და წყნარდებოდა, ბოლოს დაღლილ-დამშვიდებული, დამცხრალი, დასევდიანებული ღიმილით მიუგდებდა ყურს შინაურების მიერ მონათხრობ ყრმობისდროინდელ თავგადასავლებს... მსგავს წუთებს განწმენდა მოჰქონდა, შენი ქვეყნის მძაფრად შეგრძნების ტკივილ-სიამე...



უაღრესად თავშეკავებული იყო ურთიერთობებში, ვგულისხმობ ყოფით ყოველდღიურობას, მით უფრო სულიერ დაახლოებას, თუმცა ეს არასოდეს გამოვლენილა თუნდაც მისხალი უხეშობით, უხიაგობით. ზრდილი და ტაქტიანი გახლდათ, გაწონასწორებული. ძალზე ახლობლებთან სხვა შინაგანობით იხსნებოდა, ძნელად დასაჯერებელი მეტამორფოზულობით, რაც ჩვენდამი თავდადებისა და ერთგულების, თანადგომის სახით არაერთხელ გამოვლენილა. მავანი ამას ვერ ამჩნევდა, შეიძლება არცა სურდა, ამიტომაც არაობიექტურად დაუხასიათებია კიდეც იგი ზოგჯერ...

ერთხელ ჩვენი საერთო მეგობარი გარკვეული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, თანადგომა ესაჭიროებოდა დაუყოვნებელი, ამას კი უხერხულ სიტუაციაში შეიძლება ჩავეყენებინეთ ყველანი. მე ყოველთვის უფრო „თავზე ხელაღებულ" კაცად ვითვლებოდი რატომღაც, მაგრამ ვინ დაგაცალა! ამ გარეგნულად მორიდებულმა, ყოფიერებაში თითქმის მორცხვად მიჩნეულმა კაცმა სრული უკომპლექსობა გამოავლინა და მძიმე მდგომარეობიდან გამოგვიყვანა...

საპირისპირო სიტუაცია მახსენდება, როცა ასევე მეგობრული თავგამოდების სურვილით აღძრულმა მიმითითა, რომ ხიფათი მელოდა (მართალიც იყო) და ეგებ თავი ამერიდებინა ამისთვის როგორმე, მაგრამ მე სხვაგვარად განვსაჯე. შევატყვე, ოდნავ, სულ ოდნავ შეცბა (კარგად ვიცნობდი და ეს არ გამომეპარებოდა). უმალ დაიცხრო ემოცია და დღესაც შინაგანი არსით ვგრძნობ, იმ არსებულ სიტუაციაში ორივეს ერთმა აზრმა გაგვირბინა — როგორმე ჩვენი ურთიერთობის დვრიტას არ უნდა დაეკარგა შემდეგობლობის უნარი და საბედნიეროდ ასეც მოხდა, სულ ბოლომდე ასე იყო — ძალდაუტანებლად!...

მიუხედავად იმისა, რომ მკვეთრად ჰქონდა გამოხატული ყოფაცხოვრებითი ცხოველმყოფელობა, გამოირჩეოდა პირადი ურთიერთობების მკაფიოდ ჩამოყალიბებული ეთიკით, იგი, უპირველესად, მაინც ჭეშმარიტი მეცნიერი იყო, უჩვეულოდ შრომისმოყვარე და წესრიგიანი. ბესარიონ ჯორბენაძისათვის მეცნიერება გახლდათ ერთი ყველაფერზე უფრო ამაღლებული განსახიერება სამშობლოსი, ეს პრინციპი წარმოადგენდა მის უძლიერეს გულის წადილს და ღრმა კმაყოფილებასაც აღუძრავდა მას. როგორც მეცნიერულ-პედაგოგიურ, ისე სხვა უფრო საზოგადოებრივ აზრს გამოთქვამდა ბუნებრივად, სპეციფიკური სისადავით, მაგრამ დამაჯერებლად. ეს წარმოადგენდა მსმენელზე თუ მკითხველზე მისეული ზეგავლენის საფუძველს ამასთან, ზემომქმედი გახლდათ არა მხოლოდ სიტყვები და მათში ჩაქსოვილი აზრი, არამედ სულისკვეთება, რომლითაც ისინია გაცხოველებული.

სულ უფრო და უფრო უფართოვდებოდა საენათმეცნიერო თვალსაწიერი, რაც უშუალოდ კავშირდებოდა ენერგიის უზომო ხარჯვასთან, მაგრამ ასეთ დროს ღვთით ნაბოძებ ძალთა მარაგი ცხოველმყოფელობდა უთუოდ... ეს მით უფრო საჭირო შექმნილიყო მისთვის, რომ მიუხედავად ზემოთითებული სამეცნიერო უნარმოსილებისა, სხვა ინტერესებიც უმღვრევდა ფესვს — უპირველესად, მწერლური ნიჭი, აგრეთვე კლასიკური მუსიკალური კულტურის აღქმის გემოვნება.

„ცხოვრება სხვა რაღაა, თუ არა საგნებისადმი დამოკიდებულების გამომჟღავნება... ადამიანიც წვრილმანში იჩენს თავის ხასიათს, რადგანაც დიდ საქმეში მას არაფრის დამალვა არ შეუძლია" (კ. გამსახურდია). მწერლობის ბიძგის მიმცემიც ეგაა — ცხოვრებისეული ეპიზოდების, რეალური მოვლენებისა თუ ადამიანების მიმართ დამოკიდებულებების გამომჟღავნება მათზე დაკვირვების საფუძველზე. ოღონდ, ცხადია, ეს არ კმარა მხოლოდ, უფრო სწორედ, ეს სულაც არ არის სამყოფი. შესანიშნავად განსაზღვრავს რაიმონ კენო — „ცეცხლზე შემოდგი სიტყვა, სიბრძნის ხელთ იღე ნატამალი, გულუბრყვილობის ნაწილიც მოზრდილი, ვარსკვლავი რამდენიმე, მთრთოლვარე გულიც ცოტაოდენი და ოსტატობის ქურაზე ადუღე ერთხანს, ახლაღა წერე! მაგრამ უწინარეს, ოდნავ პოეტად უნდა დაიბადო მაინც!"

ბესარიონ ჯორბენაძის პროზის მხატვრული ენა (მხატვრულ-სახეობრივი არსი) მიმზიდველი და სათანადო ემოციის აღმძვრელია, ნაწარმოების კომპოზიციური წყობა მოვლენა-ვითარებათა მარჯვედ მაორგანი-

ზებელი, სიუჟეტი დაძაბულად ვითარდება და რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, პერსონაჟთა ფსიქოლოგიური მდგომარეობა მკაფიოდაა მოტივირებული. უფრო დაწვრილებით მისი მოთხრობების ავ-კარგზე საუბარი აქ მოუხერხებელია.

ერთ გარემოებას აღვნიშნავდი: ასპირანტურაში სწავლის განსაზღვრულ პერიოდში, რაღაც ავადმყოფურად აგვეკვიატა „შტატგარეშე კორესპონდენტობის“ გაუნელებელი სურვილი. „მოლოდიოჟ გრუზიაში“ ჩვენი თანაკურსელი მუშაობდა რედაქტორის მოადგილედ და ჩვენგან კორესპონდენციების მიღებაზე დაგვთანხმდა. პირდაპირ ჯირითი დავიწყეთ რომ იტყვიან, ბესომ სწრაფი სიარული იცოდა, მიჭირდა, მაგრამ მივყვებოდი, სად არ შევაღწიეთ — მაშინ გაძნელებული იყო და, 31-ე ქარხანაშიც, ელექტროდეპოში, პარფიუმერიის ფაბრიკა — „ივერიაში“, ხევსურული მეთოდით ტრეპანაციის შემსწავლელი მეცნიერი-ექიმის (გვარი არ მახსენდება) კაბინეტში, ზუსტი ხელსაწყოების ქარხანაში, ვაკის მილიციის განყოფილების დილეგშიც კი. თითქმის ყველაფერი დაგვიბეჭდეს ზემოთითებულ გაზეთში და აგრეთვე „მებრძოლ გუშაგში“ (იქაც ჩვენი უნივერსიტეტელი მეგობარი მუშაობდა). ყოველი ამგვარი სამუშაო მრავალი ინფორმაციის მოპოვების წყარო გახლდათ, მრავალ ადამიანთან საუბრისა თუ აზრთა გაცვლა-გამოცვლის, მსჯელობის საბაბი და საშუალება. ყოველივე ცხოვრებაზე დაკვირვების ობიექტებს წარმოადგენდა უთუოდ, მოვლენები, ვითარებანი, ამბავთა გალა მხატვრული ტრასფორმაციის, შემოქმედებითი გარდასახვის ობიექტები გახლდათ...

ერთ წერილში, რა თქმა უნდა, ყველაფერს ვერ გადასწვდები, ერთბაშად ვერც გაიხსენებ, უფრო ვრცლად თხრობას სხვა განწყობაცა და მოცალეობაც ესაჭიროება, დროის შერჩევა...

კვლავაც ერთი მოსაგონარი: ტრადიციად დავსახეთ—რვეული. ვიკრიბებოდით წელიწადში ერთხელ, ოთხი წყვილი შევიყუჟებოდით „ფაცხაში“ (სამი უკვე გაგაცანით, მეოთხე გიორგი გახლავთ, სალიაშვილი, თსუ-ს გამომცემლობის მთავარი რედაქტორი) — ოთხი მეგობარი მეუღლეებთან ერთად (მანდილოსნებიც ერთმანეთთან მეგობრობენ სტუდენტობიდან დღემდე). გვიტკბებოდა ქეიფი, სულ ერთი იყო წვიმდა, თოვლხვაობდა თუ ქარტეხილობდა გარეთ... პირველად რუსლან გოგიჩაიშვილი გამოგვეცალა და მაშინვე დაირღვა სალაღობო კრებული, თითქოს აღდგენა მოვინდომეთ მაინც, მაგრამ ამასობაში წამოუშინა „ქართულმა მერეხმა“ — დაინგრა და დაიქცა ქვეყანა, უკანასკნელად ბესოც დავკარგეთ და მთლად დაკნინდა ერთ დროს შვება-სიამის მომგვრელი განწყობა, რვეულიდან ორი ძმაკაცი შემოვრჩით დრო-ჟამს (ღმერთით, ოთხივე ოჯახის ყველა დედა შეძლებისდაგვარად ილვწის და ებრძვის მძიმე ყოფას)... ერთხელ ანგარიშმიუცემლად მივადექი „ფაცხებს“, ჩვენ მიერ ნაჩვევი ოთახის კარი შევაღე, ღრიანცელი მომხვდა სახეში, სწრაფად უკუვდექი, მაგრამ მაინც მოასწრო თვალმა და ოთახის ერთ-ერთ კუნჭულში ჭერთან შეკიდული აბლაბუდა დალანდა... გამომყვა აბლაბუდის მიღმიდან გამომკრთალი უღალატო მზერა, სმენას მოსწვდა ერთმანეთის სიყვარულით გამთბარი ხმების ჩქამი... აი, რისთვის ამოვსულვარ ამ სიმაღლეზე — აბლაბუდის სახილველად?! საკვირველი ის გახლავთ, რომ აბლაბუდას სიღრმეები ჰქონია თურმე... უფრო მიღმის მიღმიდან ოდნავლა ბჟუტავდა ორთა ცქერა, ისინი ზღვრის იქით იყვნენ გასულნი უკვე და აბლაბუდის ყველაზე ბებერ ფესვებში მიწოლილიყვნენ უჩუმრად...

თითქოს ამოვარდნილა ეს ყოველივე აკადემიური ტონიდან, გარკვეული ეტიკეტური ნორმებიდან, უჩვეულოა სტილისთვის, რომელიც მეცნიერის გახსენებადახასიათებისთვისაა, ჩვეულებრივ, შერჩეული, მაგრამ ყოველთვის შეიძლება გძლიოს ერთგვარმა არაორდინალური ქმედების ცდუნებამ... მეგობარზე რატომღაც ასე მეთქმოდა, ამ სურვილზე დავდექ და ამან სული ამიმეტყველა...



უცნაურია, რომ ხშირად საფლავები და სამარხები კვებავენ ცოცხალთა ემოციებს, ვიდრე მათ შორის ურთიერთობა. მიცვალებული უფრო მძაფრად ასულდგმულებს ჩვენში ადამიანურ განცდებს, ვიდრე საკუთარი ახირებული სურვილები...

და ბოლოს: შესანიშნავი მეუღლე ინახავს ბესარიონ ჯორბენაძის ხსოვნას და მართლაც საუცხოო ქალვაჟი — პატიოსნები, ზნეობრივად ფაქიზნი, ტრადიციებისადმი ერთგულნი და ნიჭით აღსავსენი.



როდესაც შევიტყვეთ, ბატონ გიორგი ნიბახაშვილს საიუბილეო თარიღი შეუსრულდაო, საგანგებოდ აღნიშვნა მოვისურვეთ... ვთხოვეთ მის მეგობრებს, კოლეგებს, მოწაფეებს მიელოცათ ბატონი გიორგისათვის... ამ დროს ბატონმა გიორგიმ ახალი წერილი მოგვაწოდა „ბურჯში" გამოსაქვეყნებლად... გეგმა შევცვალეთ; ვამჯობინეთ, მკითხველის წინაშე იუბილარი წარგვედგინა მისთვის ჩვეული მართალი პოზიციით, თავისი ფიქრებითა და გულისტკივილით; ხვალინდელ ბედნიერ საქართველოზე ოცნებით...

ბატონ გიორგის სამეცნიერო ტიტულები მრავლად აქვს; მისი სამეცნიერო ნაყოფიერებაც შესაშურია: 250-მდე გამოკვლევა; სასწავლო-მეთოდური წერილები; 30-მდე სახელმძღვანელო... მაგრამ ჩვენთვის ბატონი გიორგი უპირველესად „ბურჯის" ბურჯია! დღიდან „ბურჯი ეროვნებისას" დაარსებისა – ერთგული მხარდამჭერი, სასიკეთო საქმეებისაკენ ბიძგის მიმცემი, წამქეზებელი, გამამხნევებელი და ნაყოფიერი ავტორი...

ბატონი გიორგის რამდენიმე წერილს შევახსენებ (თუკი სჭირდება შეხსენება) ჩვენს მკითხველს: „ქართულ ენას სივრცის დაკარგვა ელოდება", „არის კი ძალა, რომელიც...", „ობოლი ერი, ანუ გვჭირდება თუ არა მამის სახელი", „საქართველოს საამისო არაფერი სჭირდა", „ვინ აღზრდის ახალ ხერხეულიძეებს" და სხვა... და ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს მილოცვას ჩვენი მკითხველიც შემოუერთდება: რვა ათეული წელი ბევრი არ არის, ბატონო გიორგი! თქვენი და ჩვენი სათაყვანო მასწავლებელი აკაკი შანიძე თავის საუკუნოვან იუბილეს ხელში კალმით შეხვდა... თქვენს საუკუნოვან იუბილეზე ახალ წერილს რომ მოართმევთ ჩვენს რედაქციას, დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ!

გვჯერა, რომ ასე იქნება!

გიორგი ნიბახაშვილი

# რა ერი წახდეს, ენაც დაეცეს

თუ შენი ნაგაზი შენივე ცხვრების შეჭმაზე გაწუწკდა, ველარ გადააჩვევ. ის უნდა მოკლა.

*შეგონება ერთი კუშტუნური ზღაპრიდან.*

ჩემს მტერსა და დამაწყევარს არ ვუსურვებ იმას, რაც საქართველოს დაატყდა თავს უკანასკნელი ათი-თორმეტი წლის განმავლობაში. უბედურებაში ჩავარდნილი (თუ ჩაგდებული) ხალხი უმთავრესად ეკონომიკურ გაუსაძლისობაზე ლაპარაკობს, რადგანაც ათიათასობით ადამიანი ფიზიკური ყოფნა-არყოფნის დილემის წინაშეა დაყენებული. ეს ცხადია, ასეა. მაგრამ ამ ე. წ. „პირველი რიგის" გასაჭირმა როგორღაც დაჩრდილა სხვა, არანაკლები უბედურება — ადამიანთა ზნეობისა და შეგნების სრული დანგრევა და გაპარტახება. „ახალი ცხოვრების" მიერ მოტანილი სიბინძურით წაიბილწა ყველაფერი, რაც საუკუნეების მანძილზე შეუნაცვლებად სულიერ ფასეულობებად ითვლებოდა და ადამიანებს ადამიანობას უნარჩუნებდა. ყველას გვახსოვს ილიას „ბედნიერი ერი". საინტერესოა, რას იტყოდა ეს ღმერთ-კაცი, დღევანდელი საქართველო რომ ენახა, სადაც ორიოდე პროცენტმა გაარაკაცებულმა კლანმა სამწვადე ხორცად აქცია საკუთარი ხალხი და „დემოკრატია" — „თავისუფლების" მხრჩოლავ კვამლში გახვეულ ქვეყანას გლეჯენ და ყლაპავენ, როგორც ზამთრის შიმშილით გაბოროტებული მგლების ხროვა.

მაგრამ ამ ხროვის შემომსევლებმა მშვენივრად იციან, რომ გაძარცვა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ადამიანის დამორჩილებას. სრული მორჩილებისათვის კიდევ საჭიროა, ადამიანი ისე დაამციროთ, რომ იგი შეურიგდეს, შეეჩვიოს თავის დამცირებას, დამდაბლებას, იწამოს, რომ იგი ბოგანოა სულითაც, ისტორიითაც, კულტურითაც, კაცობითაც, წინაპრებითაც და შთამომავლობითაც. ამიტომ მეტის, უკეთესის ღირსიც არ არის. ამ პოზიციებიდან უტევენ დღეს საქართველოს წარსულსა და აწმყოს, რათა სამომავლოდ ქართველთაგან ჩამოყალიბდეს დაქირავებულ მსახურთა ისეთი კასტა, რომლის ყიდვაც შესაძლებელი იქნება და გაყიდვაც, დასჯაც, ბინძურ საქმეებში გამოყენებაც და რომელთა ცხოვრების არსიც მხოლოდ კუჭის მოქმედების პრობლემით შემოიფარგლება. ეს პერსპექტივა ჯერ კიდევ ავადსახსენებელი ალენ დალესის გეგმაში დაისახა და, როგორც ფაქტები ღაღადებენ, წარმატებით ხორციელდება.

ამ ტოტალურ პროცესში თავისი ადგილი უკავია ეთნონიჰილიზმის დამკვიდრებასაც. ამ მოვლენის არსი საკმაოდ გამჭვირვალეა: თუ „ტკბილი" ცხოვრება გინდა (მატერიალური გაგებით), ნებისმიერი ხერხებით უნდა იშოვო დოლარები დიდი რაოდენობით. ამ საქმეში კი გარდასულ ჟამთა ორბელიანები, ბარათაშვილები, ჭავჭავაძეები, წერეთლები, რაზიკაშვილები, ფალიაშვილები ვერაფრით დაგეხმარებიან, პირიქით — ხელს შეგიშლიან თავიანთი მოძველებული მორალით. ამიტომ მათ მოვლასა და შესწავლაზე დროისა და ენერგიის დახარჯვა ცხოვრებას ჩამორჩენილთა გულუბრყვილობაა. თანაც, თურმე, ისინი არცა ღირან იმ დაფასებად და პატივად, რასაც ქართველები მიაგებდნენ მათ ორი საუკუნის განმავლობაში. და ამას ჩაგვჩიჩინებენ არა გადამთიელები, არამედ მათგან დაქირავებული „ჩვენიანები!" და ვერ ვიტყვით, რომ მათ „არა იციან, რასა იქმნიან". იციან, მშვენივრად იციან, მაგრამ მაინც „იქმნიან" იმიტომ, რომ ამგვარი ქმედებისათვის მიიღეს ის ცხოვრებისეული სიკეთეები, რომლებიც სხვანაირად არაფრით დაუმსახურებიათ! თუ ფიქრობენ, რომ მათ დაიმსახურეს სამოთხის ოაზისი, როცა ირგვლივ ჯოჯოხეთია? არც იმდენად მიამიტები უნდა იყვნენ ეს ვაჟბატონები და ქალბატონები. მათ იციან, რომ მანქანებიც, ბინებიც, დაცვაც, საბანკო ანგარიშებიც, მაღალი და შემოსავლიანი თანამდებობებიც მხოლოდ საზღაურია იმ დანაშაულებრივი სამსახურისათვის, რომელ-

საც უწევენ საქართველოს მითვისების მსურველ უცხო ძალებს. ცხოვრება მუქთად არავის არაფერს აძლევს. ეს რკინის ლოგიკაა, რომელშიც კარგად თავსდება „საირმის გორაც", შვილებისა და შვილიშვილების საზღვარგარეთული განათლებაც, ბიზნესიც (რომელიც ჩვენთან ყაჩაღობის სინონიმია), უძვირფასესი მანქანებიც, ხელშეუხებლობის კანონებიც და რკინა-ბეტონის გალავნებიც, რომლებიც საიმედოდ იცავენ „ახალ ქართველებს" და მათ ირგვლივ მოტრიალე პარაზიტთა ხროვებს. „შენ კი წადი და ეგ შენი მოწონებული „ბახტრიონი" იკითხეო", — ასეთია ამ ცინიზმის მეორე მხარე.

— შენ ვინ გიშლის, რომ ჩემსავით იცხოვრო? — კონტრკითხვას გვიბრუნებენ ცინიკოსები და ამ კითხვაშიც დაცინვა ჟღერს: რა ჩემი ბრალია, რომ შენ უშნო და ხელმოცარული ხარო?

ეთნონიჰილიზმის ლოგიკაში ჯდება ისიც, რაც დღეს ქართულ ენას ემართება. ეს ენა არასოდეს არ ყოფილა ისე იგნორირებული და დაუფასებელი, როგორც დღეს. დიდებულია, რომ კონსტიტუციით იგი არის აღიარებული სახელმწიფო ენად, მაგრამ რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრება რეგულირდება სხვა ენით? რომ არცერთ წამალს არ ერთვის ქართულენოვანი განმარტება? რომ ყველა ფირმა და შ.პ.ს.-ები გვთავაზობს საქონელს მხოლოდ ინგლისურენოვანი იარლიყებით. რომელია ფაქტობრივად სახელმწიფო ენა? ისიც ხომ ფაქტია, რომ ქართული ენის ფუნქციონირების არეალი დღევანდელ საქართველოში გაცილებით მცირეა, ვიდრე, ვთქვათ, 20-30 წლის წინ იყო.

და რაც მთავარია, სრულიად დაიკარგა ენისადმი პასუხისმგებლობა და პატივისცემა. ათასობით უვიცი და უნიჭო „მეკალმე" დაურიდებლად ამსხვრევს, ანაგვიანებს, ამახინჯებს ენის ლექსიკას, სინტაქსს, ინტონაციურ სტრუქტურას, ფონეტიკას. ქართული ენა ძალიან მდიდარია და ნებისმიერი ემოციისა და აზრის ელფერის გამოხატვა შეუძლია, ენის ნორმებისა და ესთეტიკის დაცვით. ამიტომ უწმაწურობის, სიბილწის ქაღალდზე გადმოღვრა და მკითხველისათვის სახეში შესხმა ადამიანისა და საზოგადოებრივი ტაქტის დაცინვაა. ამავე დროს ეს თვით ენის შეურაცხყოფაცაა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: ენას ამცირებენ, აბუჩად იგდებენ თვით ამავე ენის საშუალებით. ერთ ამგვარ „სუპერთანამედროვე მოთხრობაში" წიგნის ერთ, მხოლოდ ერთ გვერდზე უწმაწური ზმნა 20-ჯერ არის გამოყენებული. თანაც პაროდირებულია ერთი ისტორიული ძეგლის სტილი, ხოლო ასეთივე „სუპერთანამედროვე" „კრიტიკოსი" მთელი მონდომებით გამოესარჩლა ამგვარ „მხატვრულ" ნაწარმოებს და უწმაწურობისადმი უარყოფითად განწყობილ მკითხველებს ჩამორჩენილები, მშიშრები და საბჭოთა მენტალიტეტის ტყვეები უწოდა. არგუმენტები კი შეუვალია: ვიღაცამ რომელიღაც ქვეყანაში ამაზე უარესი რამ დაბეჭდა და წიგნი ბესტსელერად იქცაო. სხვათა შორის, ერთმა რუსმა „მწერალმა" ედუარდ ლიმონოვმაც სცადა ამგვარი შედევრების შექმნა (რუსული ენაც მდიდარია უცენზურო ლექსიკითა და გამოთქმებით). მკითხველმა ჯერ გაკვირვება გამოხატა, მერე აღშფოთება და ლიმონოვი კუდამოძუებული გაიქცა იმ ამერიკაში, სადაც „დაეუფლა" ამგვარ სტილსა და ჟანრს.

ეტყობა, დადგა დრო დედაენის ღირსების დაცვა დაიწყოს უპირველეს ყოვლისა იმათგან, ვინც თავისი მოწოდებით უნდა ემსახურებოდეს და არა მხოლოდ მოიხმარდეს.

არავის ეჭვი არ ეპარება, რომ ყველა ქართველს უყვარს თავისი ენა, ოღონდაც ყველას თავისებურად ესმის ეს სიყვარული. მოყვარულთა და მადლეგრძელებულთა არმია დიდია და ენა მაინც დაიჩაგრა. ამოგვიჩემებია, ქართული სახელმწიფო ენად ვაქციეთო. არის კი ეს ასე? ჯერ ერთი, დასადგენია, რას ნიშნავს „სახელმწიფო ენა" იქ, სადაც სხვა ენებზე მოლაპარაკენიც ბლომად ჰყავს ამ სახელმწიფოს. თუ სახელმწიფო მრავალენოვანი, მრავალეროვანი და მრავალრელიგიანია, ასეთი გამორჩევა და კლასიფიკაცია ბეწვის ხიდზე სიარულს ჰგავს და სარისკოა. გაკვეთილები უკვე გავიარეთ მესმის ყიჟინა: როგორ, მაშ არ უნდა დავიცვათ ჩვენი ენისა და რწმენის პოზიციები? დიახ, უნდა დავიცვათ. მაგრამ მხოლოდ ღირსებისა და სათნოების წარმოჩენით. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საკუთარი ენის, კულტურისა და რწმენის ხელყოფას ყველა გაუწევს წინააღმდეგობას — ერთნი გულწრფელად: მეორენი — პროვოკაციულად. შედეგი კი ორივეჯერ უარყოფითი იქნება. ჩვენთვის უარყოფითი, ჩვენთვის და არა მტრისთვის. და უკვე არის კიდევაც. ეს მაგალითიც უკვე ნაცნობია. ორიოდე წლის წინ დაარსდა ჟურნალი „ქართული ენა და ლიტერატურა არაქართულ სკოლაში". რამდენიმე ნომერი გამოვიდა კიდევაც. მაგრამ მალე შეწყდა უსახსრობის გამო. იყო რაღაც თანხა გამოყოფილი, მაგრამ სადღაც გაქრა. ვიღაცამ იკადრა მისი შეჭმა, ვიღაცამ კი წაუყრუა ამას. ეს რა ნამუსია და რა მამულიშვილობა? არადა „ერის მამების" მიერ რესტორან-კაზინოებში ერთ ღამეს დახარჯული თანხა ამ ჟურნალს ალბათ ათ წელიწადს ეყოფოდა არსებობისათვის. ამ ჟურნალს დიდი საქმის გაკეთება შეუძლია, საშვილიშვილო საქმის. მთელი უბედურება კი ის არის, რომ ფულიანებს არც შენი ენა და კულტურა სჭირდებათ და არც ქვეყნის აყვავება. მათთვის მთავარია საკუთარი აღზევება, გამდიდრება, ამოუვსებელი სტომაქის ამოვსება. ამიტომ იგდეს მათ ხელთ ქვეყნის მართვის სადავეები.

და ეს გაგრძელდება ასე, ვიდრე არ გამოჩნდება ძალა, რომელიც ამ ყაჩაღებს, მძარცველებს, მექრთამეებს მთელი ხალხის გასაგონად და დასანახად მიუკერძოებელ სამსჯავროზე არ გამოიყვანს და უკანასკნელ თეთრამდე არ დააბრუნებინებს მთელ ნაძარცვსა და ნაყაჩაღარს.

მაინც სად და რომელი პოზიცია წააგო ქართულმა ენამ, რომ ასე დაკნინდა, დაოსდა და უვიცთა და კადნიერთა საჭყუმპალაო გუბედ იქცა? რატომ აღარავის ახსოვს გრიგოლ ორბელიანის, ილიას, აკაკის, იაკობის, მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას მოწამეობრივი ერთგულება მშობლიური ენისადმი? სად არიან ახალი ამირეჯიბები, ინანიშვილები, მაჭავარიანები, ნიშნიანიძეები, რომელთაც შეეძლოთ ეთქვათ სათქმელი ღრმად, დახვეწილი ესთეტიკით და ამავე დროს ანკარა ენით. თავის დროზე პროლეტკულტელებს ილია, აკაკი, პუშკინი, ჩეხოვი მხოლოდ იმიტომ კი არ სძულდათ, რომ განსხვავებული იდეოლოგიის მატარებლები იყვნენ. ამ სიძულვილში მთავარი შური იყო, უნიჭოთა და უზნეოთა შური — ჩემზე უკეთესი, ნიჭიერი, პატიოსანი რატომა ხარო? ამას, ცხადია, პირდაპირ არ ამბობდნენ, მაგრამ ეს ასე იყო. ამავე მიზეზით ლამის ჯვარს აცვეს დიდი ნიჭის მქონე და სრულიად დაუცველი ტერენტი გრანელი. ამავე მიზეზებით აბეზღებდნენ 37-38 წლებში უნიჭონი ნიჭიერებს, შურიანები უშუროებს. ეს მეორდება დღესაც, ოღონდაც „თანამედროვე ვარიანტებში". ამის ერთადერთი მიზეზია ე. წ. „თვითგანთავისუფლება" ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან ყველასა და ყველაფრის წინაშე თავისუფლების ყალბად გაგების გამო. ადრე ოფიციალური ცენზურა (იქამც ყოფილა!) ენის ხელყოფასაც მკაცრად (ზოგჯერ ზედმეტად მკაცრად) კრძა-

ლავდა: დღეს თვითნებობის ამგვარი შეზღუდვა აღარ არსებობს. დარჩა სხვა ბარიერი — შინაგანი ცენზურა, შინაგანი თავშეკავება. როგორც დედას არ შეიძლება შებედო ნებისმიერი მოქცევა, ასევე ენას ვერ უნდა გაუბედო იმგვარი „თავისუფალი" მოპყრობა. ენა ის სამყაროა, სადაც არგუმენტირებული და ენის ესთეტიკით დამკვიდრებული „არ შეიძლება" ყველასათვის სავალდებულო იყოს. ბილწსიტყვაობის შეტანა ბეჭდვით პროდუქციაში გემოვნებისა და კულტურის დაბალი დონის მაჩვენებელია და არა ნიჭისა და ორიგინალობის. ენის ამღვრევა ადვილია, დაწმენდა — ძალიან ძნელი. აუცილებელია რაღაც საკონტროლო თუ საკონსულტაციო სტრუქტურა, რომელიც ტვინგახურებულებს დაამშვიდებს და ბაზრული ბილწსიტყვაობისაგან დაიცავს ენას, მოზარდთა ენობრივი ეთიკის ჩამოყალიბებას. ხოლო თუ ვიღაცის „ნიჭი" მხოლოდ სიბინძურის გამავრცელებელია, კი, ბატონო, შეხვდნენ ასეთები ერმანეთს და „იბლატაონ", რამდენიც სურთ. მივბაძოთ ჩვენს სათაყვანებელ ამერიკას: ჰომოსექსუალისტებისათვის, იმპოტენტებისათვის, სადისტებისათვის, არასრულფასოვანი მამაკაცებისათვის, კლეპტომანებისათვის, ონანისტებისათვის, ნარკოტიკებით გამოფიტულებისათვის და სხვა ამგვარი „გადახრილებისათვის" „საიმედო" ფილმებს აჩვენებენ სპეციალურ დახურულ თეატრებში, სადაც შესვლა ძვირია და სამარცხვინოც. ჩვენი კინოეკრანებიდან კი ვიღაცა ტყავიდან ძვრება, რომ ქართველ მამაკაცს „ცისფერობის" მომხიბლაობა ჩაუნერგოს, მოზარდები კი მიაჩვიოს სიბილწისა და სიბინძურის ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ მოვლენად აღქმამიღებას. ყველაფერი ეს იმდენად ეწინააღმდეგება ჯანსაღი სხეულისა და სულის ცნებას, რომ ძალაუნებურად ჩნდება აზრი, რომ რაღაც ძალები გეგმაზომიერად და მიზანდასახულად ახორციელებენ ქართველი ხალხის სულიერ გენოციდსა და მომავალი თაობების ზნეობრივ და ფიზიოლოგიურ კასტრაციას, თანაც ეს კეთდება იმ ქართველთა აქტიური მონაწილეობით, რომელთა ცხოვრებისა და არსებობის მოცულობა არ სცილდება მათი ჯიბის ფარგლებს. შეგონებებითა და ქადაგებებით ამ ბოროტების დაძლევა შეუძლებელია. საჭიროა რაღაც გაცილებით აქტიური, იქნებ ეგრესიულიც, ზემოქმედება. სასწორზეა შეგდებული მომავალი თაობების ყოფნა-არყოფნა და ამ პირობებში „დემოკრატიაზე" და „სიტყვის თავისუფლებაზე" ლაქლაქი მხოლოდ ბოროტების შენიღბული დაცვაა და მგლის თავზე სახარების კითხვა. ერთმა რუსულმა გაზეთმა ამგვარი „თავისუფლება" ახსნა შემდეგნაირად: ეს არის უფლება ხალხის თვალწინ მოისურვილო და შენიშვნის მოცემა ვერავინ გაბედოსო. მოვლენა ღირს შედარებად.

> „ — ხშირად იგინებით ხოლმე?
>
> — კი, ხშირად. ჩემთვის გინება ცხოვრების წესი გახდა, ასე ვთქვათ, ყოველდღიურ ურთიერთობაში, სამეგობროში მოსული ვარიანტია. ვერ ვიტან, როცა „ჩემი დედა"-ს იძახიან. ისე, სხვა, უვნებელი მოსულა. გინება მიყვარს, ქართველი ვარ, რა".
>
> „უცნობი" (გ. გაჩეჩილაძე)
> „სარკე", №4, 2002 წ.

ჩვენ გვახსოვს, როგორი ერთსულოვნებით დაიცვა ახალგაზრდობამ დედაენა ვიღაც-ვიღაცების ხელყოფისაგან. კვლავ დადგა დრო, წინ აღვუდგეთ ენის დამბინძურებლებს, გამყალბებლებს, დამამცირებლებს. მაგრამ ვინ გააკეთებს ამას? ჟურნალისტები, რომლებიც თვით სცოდავენ ენის წინაშე? მწერლები, რომლებიც ერმანეთის ლანძღვაში ისე არიან გართულები, რომ სხვა აღარაფერი ახსოვთ და უხერხულობასაც კი არ გრძნობენ? „ერის მამები", რომლებმაც ქვეყანა გადაჭამეს და ახლა ერთმანეთს მისდგნენ? ეგენი დედაენას კი არა, დედის სულს გაიმეტებენ, ოღონდაც ნაქურდალს ნაავაზაკარი მიუმატონ. ათი წელი საკმაო ვადაა, რომ ხალხი ამაში დარწმუნებულიყო. ათი წელი და ქვეყნის გაუბედურება.

მაშ ვინ? კონსტანტინე გამსახურდია ერთგან ბრძანებს: თუ ქვეყნად რაიმე სასიკეთო გაკეთებულა, ისევ მშიერმწყურვალთა ხელითო. ასეა დღესაც. ისევ იმათ უნდა ამოიღონ ხმა ენის პოზიციებისა და პატივის დასაცავად, ვისაც ლუკმა პურიც სანატრელი გაუხდა და კეთილი აზრების მოქადაგე წიგნ-გაზეთებიც.

ქართული ენისა და ლიტერატურის წინააღმდეგ ახალი ფრონტი იხსნება — დაიწყო სერიოზული მცდელობა მისაღები გამოცდებიდან ქართულის გამოდევნის მიზნით, რაც, თურმე, „სასიკეთოდ წაადგება შემოქმედებითი უნარის მქონე კონტიგენტის შერჩევას". აი, ასე. ხმამაღალი პროტესტები გაისმის არაფილოლოგიურ ფაკულტეტებზე ქართული ენის სწავლების წინააღმდეგაც. არგუმენტი კი ასეთია — მაინც არაფერს ასწავლიანო. მაპატიონ კოლეგებმა, მაგრამ ამ საყვედურში ალბათ სიმართლეც არის. მომავალ იურისტებს, ეკონომისტებს, გეოლოგებს და სხვა არაფილოლოგებს მართლაც არა სჭირდებათ გრამატიკის აბსტრაქციები. მათ უნდა მიეცეთ ისეთი ცოდნა, რომ არ დაწერონ ასეთი რამეები: „სიკვდილი მოხდა მაკაროვის სისტემიდან გასვრილი ტყვიით"

ან კიდევ: „ეს სხივები გამოიგონა რედგენმა და ამიტომ მას რედგენის სხივები ეწოდება".

ან კიდევ: „ვახტანგ გორგასალის ბრძანების სისრულეში მოყვანის შემდეგ ვარსქენ პიტიახში სამუდამოდ მოაკვლევინა". ამგვარი „მარგალიტები" ფილოლოგთა ნაწერებშიც ბლომადაა. და მართლაც ისმის კითხვა: რას ვასწავლით ან როგორ ვასწავლით, რომ ახალგაზრდამ დედაენა ათი წელი სკოლაში ისწავლა, უმაღლესშიც გაიარა რაღაც კურსი და მაინც ორ წინადადებას ვერ შეადგენს უშეცდომოდ? და მთლად უარესი: ფილოლოგიაში სამეცნიერო ხარისხის მაძიებლად მოსული ადამიანი განცხადებას ვერ წერს, საკუთარი ნაწერის კორექტურას ვერ ახერხებს. ვის ან რას უნდა დავაბრალოთ ეს?

ფაქტია, რომ ხდება (თანაც წარმატებით) ენისა და მეტყველების საყოველთაო ვულგარიზაცია, რაც, სამწუხაროდ, არც პროტესტს იწვევს და არც ტკივილს. პირიქით, ბევრ ასეთ „ოქროპირს" თავიც კი მოაქვს — შემომხედეთ, იმდენად თავისუფალი პიროვნება ვარ, რომ ბილწსიტყვა-

ბის ნავავს გაყრით და ხმის ამოღებას ვერავინ ბედავსო. ზოგი ამას მოკრძალებით მეტყველების „დემოკრატიზაციას“ უწოდებს და ამით ამართლებს თავის უსუსურობასა თუ გულგრილობას. არის სხვა მხსნელი ფორმულაც — „დრომ მოიტანაო“. სინამდვილეში კი ყველაფერი, რაც ხდება, დრომ კი არა, გამდიდრებას დახარბებულმა ადამიანებმა მოიტანეს, რომლებიც, ესმით თუ არ ესმით, საქართველოსათვის მტრულ ძალებს ემსახურებიან. ამ ძალების წინააღმდეგ ერთეულების გაბრძოლება თითქმის არაფერს მოგვცემს. ერთიანი ფრონტია საჭირო. კარგია, რომ კონსტიტუციით ქართული აღიარებულია სახელმწიფო ენად. მაგრამ რა შეფასება უნდა მივცეთ ისეთ ფაქტს, როდესაც ორ ენაზე შედგენილ სახელმწიფოთაშორის დოკუმენტში იწერება: აზრის განსხვავებულად გაგების შემთხვევაში უპირატესობა ინგლისურ ტექსტს ენიჭებაო? მახსენდება მაშინ გახმაურებული ამბავი: ნიურნბერგის პროცესის დროს ინგლისურ-ამერიკულმა მხარემ მოიწადინა, პროცესი მხოლოდ ინგლისურ ენაზე წარმართულიყო. ეს ნიშნავდა, რომ რუსული და ფრანგული ენები დამცირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ. მაშინ სტალინმა შესთავაზა სარკასტული წინადადება: ნაცისტი დამნაშავეები ოთხად გავყოთ და ყველამ თავის ენაზე გაასამართლოსო. ირონიამ შედეგი გამოიღო — საერთაშორისო ტრიბუნალი სამ ენაზე მუშაობდა.

რიტუალად იქცა ჩვენი წინაპრების ნათქვამი: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“, „ერი დედაა ენისა“, „ენა ეროვნების ბურჯია“ „მამული, ენა, სარწმუნოება“ და სხვა. ყველას თვალწინ ერს დედა უკვდება, ერი დაეცა და ენა წახდა, ეროვნებას უნგრევენ ბურჯებს, მაგრამ „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“.

სწრაფად იზრდება არაქართულენოვანი სასწავლო დაწესებულებები. არც ისე ძნელი მოსახვედრია, ვინ იქნება ენობრივად და კულტურულად ის ქართველი, რომელიც საქართველოში იზრდება და განათლებას არაქართულ ენაზე ეზიარება. ასეთები ერთეულები ყოველთვის იყვნენ და იქნებიან, მაგრამ მალე საქართველო მიიღებს ათიათასობით სულგაორებულ პიროვნებას, რომლებიც მოსწყდნენ საკუთარ ნიადაგს, მაგრამ სხვაგანაც ვერ გაიდგეს ფესვები. განა დასაფიქრებელი არ არის, რომ მოსკოვში ქართული სკოლა იხსნებოდეს, თბილისში კი მოზარდები ათასობით უცხოენოვან სკოლებში მიჰყავდეთ? (ესეც შენი „სახელმწიფო ენა“ და მაგალითი არაქართველთათვის). ეს სიგიჟეა (უკეთეს შემთხვევაში) ან ერის თვითმკვლელობა, რომლის ერთადერთი მიზეზი დოლაროვირუსის ეპიდემიაა. მშობლებს ასე სურთ, — გვესმის არგუმენტი. ზოგი მშობელი საკუთარ შვილს ჰყიდის, ზოგი პროსტიტუციას აჩვევს. ესეც დემოკრატიის მიღწევაა, ხომ?

კიდევ ერთი დეტალი — არაქართულენოვან სკოლებში მასწავლებლის მდგომარეობა საგრძნობად ან გაცილებით უკეთესია, ვიდრე ქართულ სკოლებში. ნუთუ ესეც შემთხვევითობაა? თუ დიდი და ბოროტი გეგმის ნაწილია ესეც? ამბობენ, ბისმარკმა გერმანია რომ გააერთიანა, პირველად მასწავლებლებს უთხრა მადლობაო, გამწყრალ გენერლებს კი შეახსენა, თქვენი მამაცი ჯარისკაცები მასწავლებლებმა გაზარდეს ასეთებადო.

რარიგ აკლია დღევანდელ საქართველოს პატრიოტი და მამაცი დამცველები, ხოლო მათ მასწავლებლებს — საზოგადოების ელემენტარული ყურადღება, პატივისცემა და თუნდაც პური, მხოლოდ პური.

„ახალო ქართველებო“, მილიონერებო, ყველაფრის მქონენო, ჩამოუშვით ძვირფასი მანქანების შავი მინები, მოიხსენით მოდური შავი სათვალეები და შეხედეთ სახედამწუხრებულ ადამიანებს. არ დაგავიწყდეთ, თუ ირგვლივ უბედურებებია, თქვენც ვერ გადაურჩებით მის სიმძიმეს, თქვენც იგემებთ, რა არის ძალადობა და უსამართლობა.

მსოფლიოს ხალხთა პანთეონში ყრუ ღმერთი არსად გვხვდება. მხოლოდ საქართველოს ხვდა წილად სმენადაკარგული ღმერთები, რომლებიც შესაშურად აგრძელებენ ავადხსენებული მურვანის ტრადიციებს.

დღეს ყველა მოთქვამს და ყველა ცალ-ცალკე. და ამიტომაც არაფერი არ გამოდის. ჩინელები ამბობენ, ყველამ რომ ერთად ამოისუნთქოს, ქარიშხალი იქნებაო. მაგრამ როდის მოახერხებენ ქართველები ერთად ამოსუნთქვას? ან საერთოდ თუ მოხერხდება ასეთი რამე: ქართველთა ერთ ნაწილს ხომ ასე გაუტკბა მიუდგომელი გალავნებით გარშემორტყმულ სასახლეებში განცალკევებით სუნთქვა. ერთად ამოსუნთქვას კი ისინი დაუნდობლად ებრძვიან სიტყვითაც, საქმითაც, იარაღითაც.

გაჭირვებულებო! თქვენს ენას უჭირს, თქვენს მეტი ქომაგი კი მას არა ჰყავს...

დღევანდელ დალხენილთა იმედით კი მტერიმც ყოფილა.

**P.S.** არადა, რა სასოებით ელოდა ქართველი ხალხი დამოუკიდებლობის მოპოვებას, როგორ ელოდა ამას, რამდენი საუკეთესო შვილის სიცოცხლე გაიღო ამ სანუკვარი მიზნის მისაღწევად. მიიღო კი გალატაკება, დამცირება, ქვეყნის განახევრება და თაღლითების ლუკმად ქცევა.

ეტყობა, მართალი იყო ის ფრანგი, რომელიც ამტკიცებდა, რომ რევოლუციას ამზადებენ ფილოსოფოსები, ახდენენ რომანტიკოსები, ხოლო შედეგებით ნაძირალები სარგებლობენო.

> სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?
>
> ილია

მაგდა მჭედლიძე

# თავისუფლების საზღვრისათვის ხელოვნებაში

ამ ბოლო დროს ხელოვნების თეორეტიკოსები საზოგადოებას დაჟინებით უნერგავენ აზრს შემოქმედის უსაზღვრო თავისუფლების შესახებ, ხოლო პრაქტიკოსი ხელოვანნი გულმოდგინედ ასხამენ ხორცს თავისუფლების ცნების ერთობ თავისუფალ გაგებაზე დაფუძნებულ თეორიას. როგორც ჩანს, ახლად გაახატებულთ თავისუფლებისა და თავნებობის გამიჯვნა კვლავაც გვიჭირს, ანდა ვერ ვაცნობიერებთ, რომ შემოქმედის თავისუფლება, გარდა საკუთრივ შემოქმედებისა, ზოგადად ადამიანის თავისუფლებასაც გულისხმობს, და რომ ამ თვალსაზრისით მისი საზღვარიც სწორედ იქ მთავრდება, სადაც სხვისი თავისუფლება იწყება.

ყველამ ვიცით, რომ ნებისმიერი თავმოყვარე ადამიანი მტკივნეულად განიცდის როგორც საკუთარ, ასევე ოჯახის წევრისა თუ ახლობლის პატივისა და ღირსების შელახვას. არავის გაკვირვებას არ იწვევს, როდესაც ამგვარ შემთხვევებში პიროვნება სასამართლოს მიმართავს, ან სულაც თავადვე უსწორებს ანგარიშს შეურაცხმყოფელს. ასევე არ უნდა იყოს გასაკვირი, როდესაც თავმოყვარე და შეგნებული ადამიანი მისთვის სათაყვანო საერთო ეროვნული წინაპრისადმი გამოვლენილ უპატივცემულობას პირად შეურაცხყოფად აღიქვამს და წინაპრის კეთილი სახელის დაცვას პირადი ღირსების საქმედ მიიჩნევს, რამდენადაც თავს მის შთამომავლად თვლის. ამდენად, ერის ისტორიასთან, მის მატერიალურ თუ სულიერ ფასეულობებთან შეხებისას, ერისათვის საკრძალველ სახელთა ხსენებისას, შემოქმედის თავისუფლება შეზღუდულია იმათი გრძნობებისათვის ანგარიშის გაწევის აუცილებლობით, რომელთაც სურვილიც აქვთ და უფლებაც ეროვნულ გმირთა თუ საპატიო მამულიშვილთა ყოლისა, ეროვნულ სიწმინდეთა ფლობისა და დაცვისა. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ადამიანის უფლებებში ზედროული ღირებულებებიც მოიაზრება, რის გამოც პიროვნების გარდაცვალება ან ჭირისუფლის არარსებობა სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მის სახელს, მის პატივსა და ღირსებას ისე მოვექცეთ, როგორც ამას ჩვენი ჭკუა გვიკარნახებს (ჩვენივე ბუნებიდან და აღზრდა-განათლებიდან გამომდინარე). შესაბამისად, შემოქმედს (ისევე, როგორც ნებისმიერ ადამიანს) აქვს უფლება რეალურად არსებული პიროვნების ნამოღვაწარის განსჯისა და შეფასებისა, რეალობის მხატვრულად ასახვისა, მაგრამ არა ფაქტების შეთხზვისა (საკუთარი სულიერი მდგომარეობისა თუ გემოვნების შესაბამისად), მით უმეტეს, როდესაც საქმე ადამიანის ცხოვრების დაფარულ მხარეს შეეხება.

კიდევ ერთ რამესაც დავუფიქრდეთ: როდესაც შვილი მამას პატივს არ სცემს, ოჯახი ინგრევა. ასევეა ერიც: როდესაც შთამომავლობა ერის ღირსების სიმბოლოებად შერაცხულ წინაპრებს უდიერად მოეპყრობა, ის ერად ველარ იარსებებს. ეროვნულ სიწმინდეთა პროფანაციის მცდელობა ნებსით თუ უნებლიეთ სწორედ ეროვნული შეგნების აღმოფხვრას ანუ ერის მოსპობას ემსახურება, რასაც ერი, თუკი ის მართლაც ერია, თვითშენარჩუნების უნარის მქონე, აუცილებლობის ძალით შეეწინააღმდეგება.

დაბოლოს, მავანნი გულწრფელ გაკვირვებას გამოთქვამენ საზოგადოების უარყოფითი რეაქციის გამო, რომელიც ერის სათაყვანო წინაპართა თუ სიწმინდეთა მიმართ უკანასკნელ ხანებში გამოვლენილმა კადნიერებამ გამოიწვია. მართლაც გასაკვირია, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ქართველი ერი თურმე ისევ არსებობს.

> მე რომ ვინმე მეძაგებინა, ამის სრული უფლება მქონდა, რადგან ვეხები ლიტერატურას და არა, ვთქვათ, ისტორიულ ნაშრომსა თუ ნარკვევს
>
> ლაშა ბუღაძე
> „სარკე", №4, 2002

> როცა ამბობენ, როგორ შეიძლება წმინდანს ასე შეეხოო, რა, დავით აღმაშენებელი წმინდანი არ იყო?.. მაშინ ლაშა ბუღაძესთან ერთად კონსტანტინე გამსახურდიაც მწვალებლად უნდა გამოვაცხადოთ...
>
> შიო ბუღაძე
> „სარკე", №4, 2002

> ფაქტია, რომ ვაწყდებით ეროვნული ნიჰილიზმის კვლავ აღზევებას. ილიასი არ იყოს, ჩვენ ერთეულ შემთხვევასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ ზოგადთან, „საზოგადო ჭირთან". აქედან გამომდინარე, მით უფრო შეუწყნარებელია, გავჩუმდეთ, ანდა ნაკლები გულისწყრომა გამოვხატოთ აღნიშნული ტენდენციის მიმართ.
>
> გ. ყორანაშვილი
> „თბილისი", №15,
> 2002 წ.



**ცნობილ ქართველ მწერალს, ნოდარ წულეისკირს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა. ვულოცავთ იუბილარს და შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ. გთავაზობთ ნაწყვეტს მწერლის ერთ-ერთი ინტერვიუდან, რომელიც „ჩვენს მწერლობაში“ გამოქვეყნდა (№1, 2002).**

ნოდარ წულეისკირი

# „როდის კარგავს სიტყვა სწივმოსილებას“

– თქვენს პირველ შეკითხვას სიამოვნებით ვუპასუხებ, – კარგ ფილოლოგად მიმაჩნია თავი. უნივერსიტეტში კარგად ვსწავლობდი.

„რა ენა წახდეს, ერი დაეცეს, წაეცხოს ნირჭი ტაძარსა წმინდას...“ – ამაზე უკეთესს ვერაფერს გეტყვით! ერთი საუკუნის წინათ ნათქვამი ეს სიტყვები ჩვენ ვერ გავაცნობიერეთ. ერის დაცემა არ დავიჯერეთ, თორემ შეუძლებელია ქართველი ადამიანი თავის დაცემას ხელს უწყობდეს. ხალხს არ სჯერა თუ „მენეჯერის“, „მარკეტის“ თქმით ან დაწერით რამე დაშავდება. ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებულია, ამით მას არაფერი მოუვა. ამიტომ ნიაღვარივით შემოდის ინგლისური სიტყვები. საჭირო არის? არ არის? – გამკითხავი ჯერც კი ასწრებს გაანალიზებას, ის უკვე შემოსული და აბრად გაკრულია ქალაქში. ავიღოთ სიტყვა „მარკეტი“. თურმე მარკეტი არც მეტი, არც ნაკლები, ბაზარი ყოფილა.

საჭირო იყო თუ არა ამ სიტყვის შემოტანა? რა თქმა უნდა. ბაზარიც არ არის ქართული სიტყვა, არაბულია, მაგრამ ის შემოსულია, დამკვიდრებულია, ხალხი შეჩვეულია. დიდ ლიტერატურაშიც ნაწრთობია, „ვეფხისტყაოსანში“ სამჯერაა ნახმარი. ესე იგი, ენამ გაიშინაურა, მოირია და გააქართულა. XII საუკუნეში უკვე დამკვიდრებულ, გაქართულებულ სიტყვას ახლა ვრეკებით სალიტერატურო ენიდან. რაც დასავლეთისკენ ავიღეთ გეზი, ინგლისური ლექსიკა მოსკდა ზღვასავით.

ინგლისური სიტყვების ასეთი მოზღვავება განსაკუთრებით სამწუხაროა დღეს, როცა კონსტიტუციაში გვიწერია „ქართული ენა სახელმწიფო ენაა“.

ყველა მაღაზიის წინ ხომ არ დავდგებით ქართული ენის კონსტიტუციური უფლებების დამცველები? ქართველი თუ არაქართველი, ვინც საქართველოში ცხოვრობს, ვალდებულია ქართული კანონები დაიცვას და იცხოვროს ამ კანონებით! მაგრამ, სამწუხაროდ, ამის შეგნება ძნელი ჩანს, თორემ მართლა ყველა დადგებოდა თავისი დუქნის, ჯიხურის („ბუტკის“), მაღაზიის წინ და დაიცავდა ქართულ ენას.

თავის დროზე მეც და სხვა ქართველი არა ერთი მწერალი ვეომებოდით რუსული ენის ამგვარ შემოჭრა-დაპყრობას. დღეს რატომღაც „ამერიკანიზმი“ თავის ნებაზე მივუშვით, რაც არ არის სწორი და რასაც უსათუოდ სჭირდება სწრაფი მოქმედება.

პირველი – ქალაქების მერიის უკითხავად არცერთი აბრა არ უნდა გაეკრას თბილისსა და სხვა ქალაქებში.

მეორე – უნდა შეიქმნას სათანადო შესატყვისი ქართული სიტყვები.

ნუღარ შეგვეშინდება იმის, რომ ხალხისთვის ის ქართული სიტყვა უფრო უცხო იქნება, ვიდრე ნამდვილი უცხო სიტყვა. მახსოვს რა კამათი იყო იმის გამო, რომ „მძღოლი“ ხელოვნური სიტყვაა, რუსულის კალკა („ვოდიტელ“) და ხალხში უკვე დამკვიდრებულ შოფერს ვერ შეცვლისო. ზოგი იმასაც ამტკიცებდა, რომ მძღოლი მხოლოდ ტროლეიბუსის შოფერი შეიძლებოდა ყოფილიყო. როგორც ცხოვრებამ გვიჩვენა, „მძღოლმა“ გზა გაიკვლია და ენაში დამკვიდრდა. ამიტომ შესიტყვების შექმნას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ენის მომავლისთვის. თავის დროზე, როცა სიტყვა „მხედრიონი“ შეიქმნა, რუსული კალკის – „შეიარაღებული ძალების“ წინააღმდეგ, ბევრი ამ სიტყვას ეჭვით უყურებდა. ეს სიტყვა კონსტანტინე გამსახურდიამ შექმნა. მხედრიონი უმალ დამკვიდრდა სალიტერატურო ენაში. „შეიარაღებული ძალები“ სულ მთლად ვერ გაძევდა ენიდან, მაგრამ თავისი ადგილი მკვიდრად დაიკავა. დღეს ის კარგ, ტკბად, ლამაზ სიტყვადაა მიჩნეული. რატომ? იმიტომ, რომ ძველებურია, ძველსა ჰგავს, ხალხურია, „მაყრიონის“ ტიპის წარმოებაა. ქართულ ენას ძველებურად ყოფნა მოსწონს, ძველებურად ნაწარმოებ სიტყვას უკეთ შეითვისებს და დაიმკვიდრებს თავის წიაღში. ავიღოთ სიტყვა „აღსაყდრება“, რუსული ინტრონიზაციის ქართული შესატყვისი. ვერავინ იფიქრებს, რომ ეს სიტყვა წარმოშობილია ჩვენს დროში და მე შევქმენი ძალზე მარტივად: ტრონს მოვუძებნე ძველი ქართული შესატყვისი. უკეთ შეიყვარა და შეითვისა ენამ ეს სიტყვა. დღეს მას მღვდელმთავრები ისე ხმარობენ, თითქოს დღეს კი არა, V საუკუნეში შეიქმნა.

უცხო სიტყვათა უთავბოლო შემოჭრამ შეიძლება დაამახინჯოს არა მარტო ენა, ერის ყოფაც, ეთნოგრაფიაც, ისტორიაც...

ეს გახლავთ: „რა ენა წახდეს, ერი დაეცეს, წაეცხოს ნირჭი ტაძარსა წმინდას“...

# მწერლობის საძირკველი ენაა

**ქართული ენა დღეს შველას ითხოვს, მისი დაკარგვისა და გადაგვარების ტენდენცია იზრდება...**

**ვინ უნდა შეასრულოს გადამწყვეტი როლი ქართული ენის მოვლა-პატრონობაში? გვესაუბრება მწერალი ნუგზარ შატაიძე**



— მწერალი ენის მასაზრდოებელია, მისი წყალობით ინახება ქართული ენა, რომელსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ ქართული რომ მკვდარ ენად გადაიქცეს, მისი რესტავრაცია მარტო რეზო ინანიშვილის ნაწარმოების მიხედვით შეიძლება. თუ მწერალმა ენა არ იცის, ემსგავსება მშენებელს, რომელსაც არ აქვს ცემენტი, აგური, ქვიშა და, მაინც სახლს აშენებს... ...აუცილებლად დაინგრევა მისი ხუხულა. მწერალი ენაა, ენა...

**— რა აზრის ხართ სალიტერატურო ენის ნორმების თაობაზე? როგორ წარმოგიდგენიათ მწერლის „ენობრივი თავისებურება?“**

— ენობრივი ნორმები ჭკვიანი ხალხის დადგენილია და ცივილიზებული კანონია. მაგრამ, ზოგჯერ ნიჭიერი ადამიანი ამ კანონებს თვითონვე ქმნის, მაგალითად: გურამ დოჩანაშვილი ამკვიდრებს თავისებურ სტილს. ამით მის მწერლობას არაფერი აკლდება, პირიქით, უფრო საინტერესოა. ასეთ მწერალთან ენობრივი დოგმები იშლება. ვინც გ. დოჩანაშვილის სიმაღლეზე ვერ ავა და წერის პრინციპებს ვერ შეინარჩუნებს, მას მოეთხოვება მკაცრად დაიცვას ენობრივი თავისებურება.

**— ქართული ენისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით რომელ მწერალს გამოარჩევდით და რატომ?**

— ჩემთვის იდეალია რეზო ინანიშვილი. რეზომ ისე ღრმად იცის ენა, დარწმუნებული ვარ, მისთვის წერა საიამოვნება იყო. არიან სხვა საინტერესო მწერლებიც. მომწონს ოთარ ჩხეიძის ენა, მისი შემოქმედება მყარად დგას ქართულ მიწაზე და ფესვები ღრმად აქვს გადგმული ჩვენს ტრადიციებში. არიან ადამიანები, რომლებსაც უჭირთ ოთარ ჩხეიძის კითხვა და გაგება, ხელოვნურადაც მიიჩნევენ, მაგრამ ეს იმიტომ ხდება, რომ ისინი ქართულ ენასთან მჭიდრო კავშირში არ არიან.

არავითარ შემთხვევაში ნაწარმოებები სატელევიზიო ქართულს არ უნდა დავუახლოვოთ. თუ ვიღაცები სატელევიზიო ქართულით წერენ, ისინი მცდარ გზას ადგანან. სატელევიზიო ქართული არა მარტო ანგრევს ენას, არამედ შლის ჩვენს ცნობიერებასაც. თუ გვინდა შევინარჩუნოთ „ენა, მამული, სარწმუნოება,“ ენის დაცვაზე უნდა ვიზრუნოთ...

**— თანამედროვე მწერალთაგან ვის გამოყოფდით?**

— აუცილებლად მინდა გამოვყო აკა მორჩილაძე (გიო ახვლედიანი). ის შესანიშნავად წერს. ვფიქრობ, ერკვევა ქართული ენის ყველა ნიუანსში. იცის როგორც ქალაქური, ისე „სოფლური“ ენა... მაგრამ თუ მწერალი კუთხური კილოთი დაწერს და ისე ახლოს არ იქნება ენასთან, როგორც ოთარ ჩხეიძე და რეზო ინანიშვილი, არ გამოუვა. ბუნებრივი დიალექტი მოდის მიწიდან, წარსულიდან, წინაპრებიდან.

**— ქართული სალიტერატურო ენისადმი მწერლის ინტერესი ხომ არ მინელდა?**

— ამის დაშვება შეუძლებელია, რადგან მწერლობის საძირკველი ენაა. სალიტერატურო ენა კი სწორად მეტყველებას გვასწავლის, არც მწერლის ინტერესი მინელებულა, მაგრამ მაინც მარტო მწერალი, რაც არ უნდა ეცადოს, ვერაფერს გახდება. ხომ შეიძლება ენის ხატოვანება წიგნის გარეშეც აღვიქვათ, მაგალითად: გავიაროთ ქუჩაში და მაღალი დიზაინით შესრულებული უაზრო წარწერების ნაცვლად წავიკითხოთ: „ყვავილების ქვეყანა“ (ყვავილების მაღაზიის სახელწოდება). ეს პირდაპირ ქართულ სულს ეხება, ქართული ენა კი — თავისი მოქნილობითა და მშვენიერებით ამის საშუალებას გვაძლევს.

... ხალხის განათლებაა ამისთვის მთავარი...

**— კონსტანტინე გამსახურდიას აზრით... „არც ერთი მწერლის ნაწარმოები შეუსწორებლად არ უნდა დაიბეჭდოს ახალი თაობისათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოში. მთავარზე უმთავრესია არა თუ ამბიცია რომელიმე მწერლისა, არამედ სიჯანსაღე ჩვენი კულტურისა და ჩვენი ენის სიფაქიზის შენარჩუნება“. ამის მიხედვით როგორ გესახებათ სასკოლო სახელმძღვანელოებში წამოჭრილი ენის პრობლემა?**

— იაკობ გოგებაშვილის ქვეყანაში ნამდვილი ქართული სახელმძღვანელო რომ არ გვაქვს, სირცხვილია. ეს ჩვენს დეგრადაციაზე მიგვანიშნებს.

კარგი წიგნის გამოცემასა და პროგრამის სწორად შერჩევას სწავლული კაცი სჭირდება. სამწუხაროდ ვინ ზრუნავს ამაზე?! რაც შეეხება ნაწარმოებების ადაპტაციას და მის სწორად მიტანას ბავშვამდე, სპეციალისტების საქმეა და არა მოყვარულების: „პური მეპურეს გამოაცხობინე და ორი შაურით მეტი მიეციო“. დღესდღეობით ცოტაა ისეთი ნაწარმოები, რომელიც შესწორებას არ საჭიროებს, ამიტომ რაც გასასწორებელია, უნდა გასწორდეს, ეს აუცილებელია ბავშვის ასამეტყველებლად...

... ზოგჯერ სახელმძღვანელოსთვის იწერება ესა თუ ის მოთხრობა, ისინი ზუსტად ჯდება ნორმებში და ხელუხლებლად უნდა დავტოვოთ. ე. ი. პირველ რიგში ენობრივად უნდა გავმართოთ და იმ მწერლებს მოვუხმოთ, რომლებსაც ქართული ენის სრულფასოვანება სისხლში აქვთ გამჯდარი...

**P.S. „მჯერა, სულ მალე გამოჩნდება ნიჭიერი მწერალი (შეიძლება ჯერ ხალხშია) და ნახავთ როგორი ქართულით ამეტყველდება“...**

ესაუბრა მაკა ბურდიაშვილი

ანა ხარანაული

# წმიდა წერილის თარგმანები (თარგმანის ისტორია, მთარგმნელები, თარგმანის ენა)

ნერილი პირველი

ქრისტეს მოსვლამდე III-II საუკუნეების მიჯნაზე, ელინისტური სამყაროს იმდროინდელ ცენტრში, ალექსანდრიაში, ებრაული ძველი აღთქმა ბერძნულ ენაზე იქნა თარგმნილი. და ამ თარგმანს, რაკი იგი სამოცდათორმეტმა - სიმბოლურად სამოცდაათმა - კაცმა შეასრულა, სეპტუაგინტა, სამოცდაათის თარგმანი ეწოდა.

ეს მოვლენა, მისი თანამედროვეებიდან მოყოლებული დღევანდელ დღემდე, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ინტერპრეტაციებისა და შეფასებების საგანია: რაციონალისტური და პრაგმატული მსოფლმხედველობის თეოლოგები მას ან მხოლოდ პტოლემაიოსების ეროვნული და კულტურული პოლიტიკის ნაწილად მოიაზრებენ, ანდა მხოლოდ მამების ენის დამვიწყებელი ებრაული დიასპორის საჭიროებით ხსნიან. ქრისტიანობასთან უკვე მწვავედ დაპირისპირებული გვიანდელი რაბინიზმი თორას თარგმნას ებრაელი ერის ისეთივე ტრაგედიად აღიქვამს, როგორც ოქროს ხბოს გამოდნობას; ადრეული რაბინიზმი კი მიიჩნევს, რომ ღვთის სიტყვის ბერძნულად გადმოტანა აღსრულებაა წინასწარმეტყველებისა: „განავრცენ ღმერთმან იაფეთ და დაემკვდრენ საყოფელთა შინა სემისთა" (დაბ. 9.27). რაც შეეხება ქრისტიანულ პატრისტიკას, იგი სეპტუაგინტას ერთმნიშვნელოვნად განიხილავს როგორც „წინაგანმზადებას სახარებისთვის "φΕυαγγελικηϖ Προπαρασκευηϖ), როგორც ტექსტს, რომელიც წმ. იერონიმეს სიტყვებით, ქრისტიანებად ხდის წარმართებს.

ამრიგად, შესაბამისად სარწმუნოებრივი პოზიციისა, სეპტუაგინტას ღვთის ჭეშმარიტ სიტყვად იღებენ ან არ იღებენ, მის შექმნას ან ღვთაებრივი განზრახულობის ნაწილად მიიჩნევენ, ან მხოლოდ კულტუროლოგიური ღირებულების ისტორიულ ფაქტად თვლიან.

რა ვიცით ჩვენ წმიდა წერილის ბერძნულად გადმოტანის შესახებ? რა ვითარებაში, ვისი ხელით შეიქმნა სეპტუაგინტა? რა პრეცედენტი იქნა დაშვებული ღვთის სიტყვის ამ პირველი თარგმანით, რისი მაგალითი მისცა მან წმიდა წერილის სხვა ენებზე გადამტანთ და არის თუ არა ეს მაგალითი დღესაც აქტუალური?

### ელინისტურ-მაკედონური ხანა

ალექსანდრე მაკედონელის დაპყრობებით ელინურმა ცივილიზაციამ მთელი იმდროინდელი სამყარო დაიპყრო. ელინიზმით განიმსჭვალა სახელმწიფო, საზოგადოება, ყოფა, სალაპარაკო ენა, კულტურა, სამართალი, რელიგია... ებრაელთა სჯულის ბერძნულ ენაზე გადმოტანაც თითქოს ამ ქარგაში ჯდება და ისრაელის ელინიზაციის მაუწყებელი უნდა იყოს. სინამდვილეში კი პირიქით მოხდა: სეპტუაგინტამ ახალი სული შეიტანა ბერძნულ ენაში, მთელ ბერძნულენოვან მწერლობასა და აზროვნებაში; მატერიალურ პლანში სწორედ სეპტუაგინტადან დაიწყო გადაფასება ელინური კულტურისა, და დამთავრდა ეს პროცესი იმით, რომ იოანე ოქროპირმა წარმართულ ელინიზმს „ოდისეა" - გზააბნეულის ხეტიალი უწოდა. ამრიგად, სეპტუაგინტა პირველი ნაბიჯი იყო ისრაელის ელინიზაციისა და საერთოდ, ელინიზმის ფენომენის წინააღმდეგ. როგორც უკვე ვთქვით და კიდევ არაერთხელ გავიმეორებთ, სეპტუაგინტა პირველი ნაბიჯი იყო წარმართული სამყაროსათვის ქრისტიანობის ქადაგების გზაზე.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ სარწმუნოება იქ იქადაგება, სადაც გულები ღვთაებრივი ნათლის მისაღებად მზად არიან.

### მზადება ქადაგებისთვის

ალექსანდრე მაკედონელის იმპერია თავისი დამაარსებლის სიკვდილისთანავე დაიშალა, მაგრამ ისე, რომ მსხვილი პოლიტიკური და კულტურული მემკვიდრეები დატოვა. ყველაზე დიდი მათ შორის და ყველაზე ძლიერი პტოლემაიოსების ეგვიპტე იყო. მისი დედაქალაქი - ალექსანდრია ელინისტური სამყაროს ცენტრი გახდა. მაგრამ პიკი უკვე გავლილი იყო და საზოგადოებას ნელ-ნელა სულიერი კრიზისი ეპარებოდა...

სეპტუაგინტას შექმნის ისტორიას ქრისტიანულ წყაროებთან ერთად ქრისტიანობამდელი და მისი შემდგომი არაქრისტიანული წყაროებიც მოგვითხრობენ: უძველესი და უმთავრესი წყარო სამოცდაათი მთარგმნელის თანამედროვე არისტეასია, თარგმანთან დაკავშირებული მოვლენების მონაწილე. ჩვ. წ. აღ-მდე II საუკუნისაა არისტობულეს ცნობებიც. დაწვრილებით ცნობებს გვაწვდიან ქრისტეს მოსვლიდან I საუკუნის მოღვაწეები - ფილონ ალექსანდრიელი და იოსებ ფლავიოსი. ქრისტიანულ წყაროთა შორის გამოვყოფდით წმ. იუსტინე მოწამეს, წმ. ირინეოს ლიონელს, კლიმენტი ალექსანდრიელს, ევსები კესარიელს, ეპიფანე კვიპრელს, წმ. იოანე ოქროპირს, ნეტარ იერონიმეს, ნეტარ ავგუს-

22490



...ეროვნული ბიბლიოთეკა

ტინეს, ნეტარ თეოდორიტე კვირელს, წმ. კირილე ალექსანდრიელს... რაბინული წყაროები ჩვ. წ. აღ-ის II საუკუნიდან იხსენიებენ სამოცდაათთა თარგმანს.

პირველი, რაც თვალში მოგვხვდება ამ წყაროთა გაცნობისას, არის ის საოცარი თანხმობისა და ერთობის ატმოსფერო, რომლითაც საერთოდ, ყველა ღვთის სათნო საქმე გამოირჩევა: მეფე პტოლემაიოსი და მთელი სამეფო კარი აღძრულია ებრაული სჯულის ბერძნულ ენაზე გადმოსატანად. იდეა ალექსანდრიის უმდიდრესი ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს, დემეტრიოს ფალერევსს ეკუთვნის, რომელიც კარგად აფასებს ამ საქმის მასშტაბურობას და იცის, რომ სამეფო პატრონაჟის გარეშე იგი სათანადოდ ვერ დაგვირგვინდება. მეფეც, პტოლემაიოს ფილადელფოსი - ძმის- მოყვარე, რომელიც ღვთიური გონიერების, ყველაზე განათლებულ და წიგნიერების მეტრფე მეფედ იხსენიება, სიხარულით თანხმდება ამ წამოწყებას და მის ამგვარ მოქმედებასაც წყაროები ღვთის შთაგონებით ხსნიან.

მოვლენათა შემდგომი განვითარება მოწმობს, თუ როგორ აფასებენ ალექსანდრიაში ებრაელთა სჯულის ბერძნულად გადმოტანის მნიშვნელობას და როგორი პასუხისმგებლობით ემზადებიან ამ საქმისთვის: მეფისა და სამეფო კარის გადაწყვეტილებით ათავისუფლებენ 100 ათასზე მეტ ებრაელ ტყვეს, გამოსასყიდი, რომელსაც სახელმწიფო სალარო იხდის, 660-ზე მეტი ტალანტია. პტოლემაიოსმა იცის, რომ მისი ძალისხმევა თავად ებრაელთა და მათი მღვდელმთავრის თანხმობისა და მხარდაჭერის გარეშე წარმატებით ვერ დაგვირგვინდება, ამიტომაც საგანგებო ელჩობას გზავნის მღვდელმთავარ ელეაზართან და წერილობით სთხოვს მას შეწევნას. წერილის გარდა, პტოლემაიოსი მღვდელმთავარ ელეაზარს ძვირფას შესაწირს უგზავნის იერუსალიმის ტაძრისთვის. ყველაზე გამორჩეული უამრავ ძღვენში ოქროთი, სპილოს ძვლით და ძვირფასი თვლებით „ჭელოვნებით შემზადებული", „კეთილსახილველი" ტრაპეზია. ასეთი მასშტაბის მზადებაში, ცხადია, მარტო მეფე და სამეფო კარი კი არა, მთელი ქვეყანაა ჩართული უკანასკნელ მონამდე.

მაგრამ ერთსულოვნება ამ საქმის ირგვლივ მხოლოდ ეგვიპტეში როდი სუფევს, ალექსანდრიის წამოწყებას პალესტინაში სიხარულით ეხმიანებიან: პტოლემაიოსის წერილსა და ძღვენს ელეაზარი საგანგებოდ შეკრებილ ერს გააცნობს, ყველას დაანახებს ერთი ღმერთის მიმართ ეგვიპტის მეფის პატივისცემას და აზრს ჰკითხავს. სინედრიონი და ერის კრებული პტოლემაიოსის საქციელში მეგობრობისა და სიყვარულის ნიშანს დაინახავს და ერთსულოვნად დაეთანხმება წმიდა წერილის ბერძნულ ენაზე გადმოთარგმნას. ამის შესახებ ელეაზარი თავის მხრივაც წერილობით შეატყობინებს პტოლემაიოსს.

იერუსალიმიდან ჩამოსულ სტუმრებს პტოლემაიოსი „გარეგან ჩვეულებისა", ე.ი. ეტიკეტის დარღვევით - ჩამოსვლისთანავე მიიღებს, სჯულის ხელნაწერს მოიკითხავს და მადლობის ნიშნად ეს ნახევარი მსოფლიოს პატრონი შვიდგზის დაიჩოქებს ხელნაწერი გრაგნილისა და მთარგმნელების წინაშე. მთარგმნელების ჩამოსვლის დღე სახელმწიფო დღესასწაულად გამოცხადდება. პტოლემაიოსი არც შემდეგ დააკლებს თავის მზრუნველობას თარგმანის საქმეს და ამას ჩვენ ქვემოთ კიდევ დავინახავთ.

მეფის პატრონაჟითა და საერო და სასულიერო ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევით ხორციელდება თარგმანი სლავურადაც. ძნელია პარალელები არ გაავლო სეპტუაგინტას თარგმანთან დაკავშირებულ პერიპეტიებთან: IX საუკუნის II ნახევარში მორავია აღზევების გზაზე დგას და თავის ირგვლივ სლავურ ტომებს აერთიანებს. მორავიის მეფე როსტისლავი, როგორც მოციქულთასწორების, კირილესა და მეთოდეს ცხოვრება გვაუწყებს - „ოგომ უსტიმ", კრებს სამეფო კარს, სხვადასხვა სლავური ტომების მეთაურებს, მთელ ერს და მათი თანხმობით ელჩობას და წერილობით თხოვნას უგზავნის ბერძენთა მეფეს, მიხეილს - შეეწიონ ქრისტეს მოძღვრების ქადაგებასა და წმიდა წერილის სლავურად გადმოღებაში. ბიზანტიისთვის ამ თხოვნით მიმართვა პოლიტიკური ჟესტი არ არის, ბიზანტიას მიმართავენ როგორც ქვეყანას, საიდანაც, როგორც თავად როსტისლავი წერს წერილში, „კეთილი სჯული მოეფინება" დანარჩენ სამყაროს. მეფე და სლავების თავადები ამ საქმისთვის 900 ბერძენ ტყვეს ათავისუფლებენ და მზად არიანნ მდიდარი ძღვენიც გაიღონ (აქვე უნდა ხაზართა ხაყანიც გავიხსენოთ, რომელიც 200 ბერძენ ტყვეს ათავისუფლებს კირილესა და მეთოდეს ქადაგების შემდეგ). სლავების თხოვნას სხვადასხვა დროს დიდი სიხარულით ხვდებიან ბიზანტიის იმპერატორი, კონ-

## ახალი წიგნები



სტანტინოპოლის პატრიარქი და რომის პაპი, აკურთხებენ და მატერიალურადაც შეეწევიან წმიდა წერილის სლავურად თარგმნას. კირილესა და მეთოდეს ღვაწლთან დაკავშირებულ წყაროებში ხშირად აღინიშნება, რომ როგორც სლავთა მეფეები, ისე ბიზანტიის იმპერატორი და კონსტანტინოპოლისა და რომის ეკლესიის თავნი ძმებს უდიდესი პატივით, როგორც მოციქულებს, ისე ხვდებოდნენ. ეს დახვედრები და შემდგომ კითხვა-მიგებები საგანგებოდ გამართული ნადიმების დროს ისევ სეპტუაგინტას შექმნის წინაისტორიასთან გვავლევინებს პარალელს. ამრიგად, სლავური ბიბლია, ისევე, როგორც სეპტუაგინტა, საერთო ძალისხმევით იქმნება: ერთმანეთის გვერდით ამჯერად დგანან სლავური ტომები (მორავიელები, ბულგარები, პანონიელები...) და ამ დროისათვის ერთმანეთთან უკვე საკმაოდ დაპირისპირებული რომი და კონსტანტინოპოლი.

სამწუხაროდ, წყაროთა უქონელობის გამო ვერაფერს ვიტყვით იმის შესახებ, თუ როგორ და რა ვითარებაში ითარგმნა თავდაპირველად საღვთო წერილი ქართულად. თუმცა „ქართლის მოქცევაში" მოთხრობილი ამბები მეფე მირიანის მიერ შეკრებილი ერის შესახებ და იმ მიწერ-მოწერისა და ელჩობების ირგვლივ, რომელიც მცხეთამ კონსტანტინოპოლთან, ხოლო შემდეგ კი იერუსალიმთან და რომთან გამართა, ალბათ გარკვეული პარალელების გავლების უფლებას მაინც იძლევა. ეს ამბები იმასაც გვაფიქრებინებს, რომ წმიდა წერილის პირველი თარგმანი, როგორც ქრისტიანობის ქადაგების შემადგენელი ნაწილი, საქართველოშიც სწორედ იმგვარ ვითარებაში უნდა განხორციელებულიყო, ალექსანდრიასა და მორავიაში რომ ჰქონდა ადგილი.




რაც უნდა მწირი იყოს თარგმანთან დაკავშირებული ცნობები, ის მაინც ცხადია, რომ წმიდა წერილის თარგმნა საქართველოშიც დიდი მასშტაბის მოვლენად აღიქმება და, რომ ამ საქმის აღსრულება სასულიერო და საერო წოდების ერთობლივი საქმეა, რომლის ორგანიზაციაც მეფემ უნდა აიღოს ხელში.

მთაწმიდელების და მათი შემდგომი ხანის წყაროების მიხედვით უკვე დოკუმენტურად შეიძლება დავადასტუროთ პარალელები ერთი მხრივ, ბიბლიის ქართულად თარგმნასა თუ რედაქტირების პროცესსა და, მეორე მხრივ, ბერძნულ და სლავურ თარგმანთან დაკავშირებულ მოვლენებს შორის: „იოანესა და ეფთჳმეს ცხოვრებაში", „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში" და ეფრემ მცირის ანდერძებში მოცემული ცნობები, რომლებიც წმიდა წერილის რედაქტირებასა და საერთოდ, ბიზანტიური სასულიერო მწერლობის თარგმნას უკავშირდება, ნათლად მეტყველებენ იმ „ძალ-შემწეობაზე", რომელსაც დავით კურაპალატი, ბაგრატ კურაპალატი და ქართველი წარჩინებულები იჩენდნენ მთარგმნელობითი საქმიანობისა და თავად მთარგმნელების მიმართ (მაგ. დავით კურაპალატი, სიხარულით აღვსილი იმის გამო, რომ ღმერთმა გიორგი ათონელის სახით ახალი ოქროპირი გამოაჩინა, „ზედაჲს-ზედა მოუწერნ რაჲთა თარგმნიდეს და წარსცემდეს", და სხვ.) და იმ ერთსულოვნებას ადასტურებენ, რომლითაც ერი თუ ბერია შემართული თარგმანის ირგვლივ.

სრულიად სხვა სიტუაციაში მიმდინარეობდა ნეტარი იერონიმეს მიერ ბიბლიის ხელახალი თარგმნა IV-V საუკუნეების მიჯნაზე: ლათინურად მეტყველი დასავლეთის ეკლესია განწვალებულია: ახალ თარგმანს სასულიერო პირთა და მრევლის დიდი ნაწილი უკმაყოფილებით ხვდება. ერთმანეთს უპირისპირდება დასავლეთის ეკლესიის ორი დიდი მამა - ნეტარი ავგუსტინე და ნეტარი იერონიმე. უკმაყოფილება ორი პუნქტის გარშემოა კონცენტრირებული: 1. ახალი თარგმანის საჭიროება ძველის არსებობის პირობებში და 2. ეგზეგეტიკურ-ტექსტუალური ტრადიციის შეცვლა: ძვ. აღთქმის თარგმნა არა ბერძნულიდან, არამედ ებრაულიდან.

ასეთსავე შფოთსა და განწვალებას იწვევს ბიბლიის რუსული თარგმანი მე-19 საუკუნის შუა წლებში. შფოთს აქაც იგივე მიზეზები აქვს: აქაც, სასულიერო პირთა და მრევლის დიდ ნაწილს ახალი თარგმანი საჭიროდ არ მიაჩნია და მეორე - აქაც სრულიად დაუშვებლად ესახებათ ძველი აღთქმის თარგმნა ებრაული, მასორეტული ტექსტიდან. ერთმანეთის საპირისპირო პოზიცია უკავიათ დიდ მამებს: ახალი თარგმანის საჭიროებას მხარს უჭერს ფილარეტ მოსკოველი, ეწინააღმდეგებიან - თეოფანე დაყუდებული და კიევის მიტროპოლიტი ფილარეტი.

*გადმობეჭდილია ჟურნალიდან „რწმენა და ცოდნა", №2, 2001*

ია ლარიბაშვილი

# გრიგოლ ორბელიანის მრწამსისათვის



დიდ შემოქმედთა ცხოვრება-მოღვაწეობას, ლიტერატურის მკვლევრები მრავალი ასპექტით განიხილავდნენ. უამრავი, ხშირად ურთიერთ-გამომრიცხავი თვალსაზრისის არსებობის მიუხედავად, XX საუკუნის მიწურულამდე თითქმის არ ყოფილა სერიოზული მსჯელობა — ძველი, ახალი თუ უახლესი ლიტერატურის წარმომადგენლ იმ შემოქმედთა რელიგიურ-ფილოსოფიურ კრედოზე, რომელთა ცხოვრებასა და შემოქმედებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ლიტერატურის შემდგომი წინსვლისათვის.

მაშინაც კი, როდესაც ამა თუ იმ მწერლის ცხოვრება და შემოქმედება ქრისტიანობისთან იყო თანშეზრდილი, არსებული „ურელიგიო" მასებისათვის იგი სხვადასხვა კუთხით განიხილებოდა, მაგრამ არა მწერლის თუ ლიტერატურული გმირის ღმერთთან მიახლოების თვალსაზრისით. ერთ მხარეს რჩებოდა შინაგანი მხარე მწერლობისა, რწმენა, იდეალები, როგორც „არ განმსაზღვრელი" შემოქმედებისა, მეორე მხარეს კი ბიოგრაფიული მასალა და ლიტერატურა, გაგებული და შესწავლილი იმ დონეზე, რამდენადაც არსებული იდეოლოგიისათვის იყო საჭიროდ მიჩნეული. ყოფით წვრილმანებში ითქვიფებოდა ამა თუ იმ შემოქმედის რელიგიურ-ფილოსოფიური კრედო. გაცილებით იოლი იყო მწერლის შემოქმედებაში წარმართულის ძიება, ვიდრე რეალურად არსებული ქრისტიანულის შენიშვნა

ამ გაგებით იქნა „არაქრისტიანულად" „დასაბუთებული" ქართველი ერის ისეთი საგანძური, როგორიც არის „ვეფხისტყაოსანი". თავად ღვთის შეგონება „არა მოიხსენო სახელი ღვთისა ამაოსა ზედა", რჩებოდა შეგონებად... „უდაბნოსა შინა".

ამჯერად ჩვენი ინტერესი მიმართულია ქართული რომანტიზმის ბრწყინვალე წარმომადგენლის გრიგოლ ორბელიანის მიმართ.

გრიგოლ ორბელიანი მორწმუნე ოჯახში დაიბადა. მშობლებს პატარა გრიგოლი ხშირად დაჰყავდათ ანჩისხატის ეკლესიაში წირვა-ლოცვაზე. თავად პოეტის მამა ქრისტიანულ მოძღვრებაში თურმე იმდენად ღრმად ჩახედული პიროვნება იყო, რომ კითხვისას ანჩისხატის დიაკვან დავითსაც კი უსწორებდა სახარების ტექსტს. ცხადია, მორწმუნე მშობლები ყმაწვილსაც ქრისტიანული სულისკვეთებით ზრდიდნენ.

გრიგოლის პირველი მასწავლებელიც სასულიერო პირი ყოფილა. მჭევრმეტყველებით და სათნოებით გამორჩეული ადამიანი, თითქმის „განსახიერებული ღმერთი" (ე. მაღრაძე), ანჩისხატის დეკანოზი დიმიტრი ალექსი-მესხიშვილი, რომელმაც პატარა გრიგოლს წერა-კითხვა შეასწავლა, ქართული მწერლობის, „ვეფხისტყაოსნისა" და „ბიბლიის" სიყვარული ჩაუნერგა.

ალბათ, ღვთის ნება იყო ისიც, რომ ქართულს კეთილშობილთა სასწავლებელშიც ღვთისმსახური ასწავლიდა, გვარად ხელაშვილი და ცხადია სასულიერო პირი მხოლოდ ქართულის მასწავლებელი არ იქნებოდა მრავალმხრივი ნიჭიერებით გამორჩეული მოსწავლისათვის, რომლის ინტერესის საგანს სხვა დარგებთან ერთად ფილოსოფიაც წარმოადგენდა. პატარა გრიგოლს, ღვთისმოშიში მშობლები და ღვთისმსახური მასწავლებლები ერისადმი მოწიწებასა და სასოებას უნერგავდნენ, ხელს უწყობდნენ მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, აწვდიდნენ სიბრძნეს, რაც ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე მშვენიერ სულიერ საგზლად გაჰყვა ღირსეულ შვილს.

გრიგოლ ორბელიანის შემოქმედება ისევე ძლიერ არის გაჯერებული ქრისტიანული მრწამსით, როგორც თავად ავტორი. ჯერ კიდევ XX საუკუნის სამოციან წლებში აღნიშნავდა **გ. ქიქოძე**, რომ პოეტის თანამედროვეთაგან „მხოლოდ გრ. ორბელიანს აქვს თბილი რელიგიური გრძნობა. შემდგომშიც არაერთგზის ითქვა, რომ „რელიგიური გრძნობებითაა დატვირთული გრ. ორბელიანის პოეზია ახალგაზრდობიდან სიბერემდე... ყველაფერი რასაც ამქვეყნად სიქველე, სიკეთე ჰქვია, პოეტის მიერ „საღვთო" ქმედებადაა ჩათვლილი". თვით მამულის სიყვარული და მისთვის თაყვანისცემის პროცესიც კი პოეტის მიერ მიიჩნევა, როგორც „საღვთო" ქმედება", თუმცა მის პოეზიაში, გარკვეულ წილად პოლუსების — „წარმართული სენსუალიზმისა და ქრისტიანული მისტიციზმის, მუხამბაზის და ფსალმუნის, ეროტიკული დითირამბებისა და პატრიოტული ელეგიების" ერთდროულ არსებობასაც არ გამორიცხავენ **(გ. ასათიანი)**.

ჩვენ თავს ვიკავებთ იმ მოსაზრებისაგან, რომ გრიგოლ ორბელიანს „ბუნების ყოველ აქტში არასოდეს არ უძებნია გამოვლინება ღვთაების ნებისა", რომ „ძიება უნივერსისა და სიკვდილის ფილოსოფია ძალიან შორსაა" მისი მსოფლმხედველობისაგან" (აკ. გაწერელია). უფრო მართებული იქნება შევნიშნოთ, რომ მისი თვალთახედვით ამქვეყნად ყოველი ნება თუ ქმედება, ბუნებაში უკვე მომხდარი თუ მიმდინარე პროცესი, მხოლოდ „ღვთის ნებას დაქვემდებარებული აქტია". თვით ადამიანის გარდაცვალების პროცესი მის მიერ აღიქმება, როგორც დადებითი შინაარსის მატარებელი, კანონზომიერი მოვლენა, რომლის ფენომენს, აუცილებლად მოსდევს ცხოვრების დაბადების პროცესი.

„ღმერთო, ვინ მისწვდეს შენგან ქმნილს,  
მის ფერ - უთვალავს შვენებას?  
სიბნელეს აქრობ ნათელით,  
სიკვდილით ჰბადავ ცხოვრებას"  
(„სადღეგრძელო")

სიკვდილით დაბადებულ ცხოვრებად შესაძლოა იგულისხმება გარდასახვა, ფერიცვალება, დაბადება, ანუ ჩვენი მატერიით სავსე სამყაროს განთავისუფლება მატერიისაგან, მარადიულობაში გადასვლა. გაქრობა ამქვეყნიურ, ამაო განცდათა და გრძნობათა, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო „სიკვდილის კარიბჭის" გავლით მიღწეულ მარადისობასთან, რომელიც მხოლოდ მატერიალურის ნგრევითა და სულიერის ამაღლებით მიიღწევა. დაბადებული განთავისუფლებული სული მიფრინავს მასთან, ვისაც უყვარს იგი და ვინც სიხარულით ეგებება მას: „მცირედსა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ: შევედ სიხარულსა უფლისა შენისასა" (მათე, 25:21).

ჯერ კიდევ ახალგაზრდობის ჟამს ქცეულა გრ. ორბელიანის ფიქრის საგნად, რომ „ზენა-ჰჯულსა ვერა არსი ვერ ასცდება":

„ვერცა ხელმწიფე დიდების გვირგვინით,
ვერცა გლახაკი შემოსილი ძონძითა,
ვერც სიჭაბუკე შვენებითა შემკული
და ვერც მოხუცი დაღალული სიცოცხლით".
რადგან
„ყველა იცვალოს, ყველა მოკვდეს, დამიწდეს,
და მხოლოდ წრფელი სული, წმინდა,ცხოველი
მღვთადა აღვიდეს ნაწილაკი მღვთაებრივი".
(„ჩემი ეპიტაფია")

მხოლოდ ღვთაებრივ ნაწილაკს ხელეწიფება „მღვთად" ამაღლება, რამეთუ მხოლოდ „მღვთაებრივია" მარადიული.

ასეთივე აზრის გამტარებელია იგი პირად ცხოვრებაშიც. თვლის, რომ ყველაფერი ღვთის ნებაა. ამიტომაც ანუგეშებს იგი ახლობლებს და მოუწოდებს, რომ თვით უსაშინლესი განსაცდელის ჟამსაც კი შინაგანი სიმტკიცე და წონასწორობა შეინარჩუნონ. უბედობასაც მორჩილებით, რწმენითა და სასოებით შეხვდნენ, რადგან ჩვენ ყველანი ისედაც განვალთ ამ ქვეყნიდან: „ვიყუენით ჩვენც ასე გულ-ხელ დაკრეფილნი და ველოდებით უკანასკნელსა ჟამსა, აუცილებელსა, მოთმინებითა და სასოებითა".

„ისევ ლოცუა, ისევ ლოცუა და სასოება ღვთისადმი. იყავნ ნება მისი" — სწერს რძალს ქეთევანს, შვილის გარდაცვალების გამო, რადგან თვლის რომ მხოლოდ რეალურისადმი „კრძალულებრივი" ერთგულებით უნდა შეხვდეს ადამიანი ამქვეყნად ყოველივეს.

„ჩემი ეპიტაფიიდან" რამდენიმე ათეული წლის შემდეგ არის დაწერილი „ფსალმუნი", პოეტის „თავისუფლებითი აღვლენა სულისა ღვთისადმი", რომელიც უკვე მისი ცხოვრების მწუხრს შეიძლება მივაკუთვნოთ. ლექსი 1879 წლით თარიღდება.

სულის გზას შემდგარი პოეტისათვის „დავითნი" (დავით წინასწარმეტყველი) ქცეულა შთაგონების წყაროდ, სულის სალბუნად და მოკავშირედ.

„შთაფლულხართ ამა სოფლის წარმავალს სიამოვნებაში და არა ჰფიქრობთ სულისათვის, საუკუნო ცხოვრებისათვის... წინ მიძევს დავითნი და ყოველ დილით თითო კანონს ვკითხულობ ცრემლითა და შენანებითა, რომ ესოდენ წელიწადნი ჩემნი წასულან ამაოდ, უსარგებლოდ სულისათვის და არც მოყვასთა ჩემთათვის საკეთილოდ", — სინანულით წერს პოეტი მეგობარს, ჯერ კიდევ 1846 წელს.

გრ. ორბელიანს უცნაური ხვედრი არგუნა განგებამ, ყოფილიყო შეუცვლელი ჭირისუფალი და მესაფლავე მშობლების, ძმების, ძმიშვილების, ბიძაშვილების, მეგობრების, ყოფილიყო ორბელიანთა ძლევამოსილი გვარის დაცემის მოწმე. ამიტომ მის წინაშე ხშირად სიკვდილი წარმოდგება მთელი თავისი იდუმალებით და საშუალებას არ აძლევს არ შეიგრძნოს და გაიაზროს მისი, როგორც ყოფიერებიდან ყოფიერებაში გადასვლის ფენომენი.

გრიგოლ ორბელიანისათვის მარადისობაში გადასვლის მოახლოების განცდა არ ყოფილა შიშის, შეძრწუნების, ტკივილის განცდა. ოთხმოც წელს მიტანებული მხცოვანი პოეტი, მშვიდად, წმინდა მამათა მსგავსად სათნო გულითა და გრძნობით ელოდა ღვთისაგან მოვლენილ განაჩენს. აი, როგორ მოგვითხრობს მის მარადისობაში გადასვლას მისი პირველი ბიოგრაფი იონა მეუნარგია. „პოეტი ექიმზე უფრო უკეთ გრძნობდა თავისი აღსასრულის მოახლოებას, თვითონ წაიკითხა ლოცვანი, მიიღო ზიარება, ესაუბრა თავის მოძღვარს... ხუმრობაც კი არ მოუშლია" .

გრიგოლ ორბელიანმა, ჭეშმარიტი ქრისტიანის სავალი გზა სასოებითა და მოთმინებით განვლო და აღესრულა რწმენით, „ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა, ანუ ვინ დადგეს ადგილსა წმიდასა მისსა? უბრალოჲ ხელითა და წმიდაჲ გულითა, რომელმან არა აიღო ამაოებასა ზედა სული თჳსი" და არც ეფუცა ზაკუვით მოყვასსა თჳსსა"

(დავითნი, კანონი 3., ფსალმუნი 23)

## ახალი წიგნი





ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკაკი წერეთლის კაბინეტი

უცნობი აკაკი
ახლად გამოვლენილი ნაწარმოებები

ნანა ფრუიძისა

თბილისი 2001

**საქართველოს მთავარი რადიოს ლიტერატურული პროგრამის „ენაჲ შემკული და კურთხეული“ (ავტორი თამაზ ხმალაძე) სტუმარი იყო იაპონელი ენათმეცნიერი, ქართველოლოგი იასუჰირო კოჯიმა. ვბეჭდავთ ამ რადიოგადაცემის ტექსტს მცირე შემოკლებით (იაპონელი კოლეგის საუბარს რედაქციული ჩარევის გარეშე გთავაზობთ — გვინდა თქვენც ნახოთ, როგორი ქართული იცის ჩვენმა უცხოელმა მეგობარმა). გადაცემაში მონაწილეობდა ასევე იასუჰირო კოჯიმას ქართული ენის მასწავლებელი დოცენტი მაია ლომია.**

# ძნელი, მაგრამ ლამაზი ენაა ქართული

**მ. ლომია:** იასუჰირო კოჯიმა დაიბადა 1976 წელს პედაგოგთა ოჯახში, ფუკუის პრეფექტურის ულამაზეს დაბა კანაზუში. ჰყავს მშობლები და ერთი და. 1982-1987 წლებში სწავლობდა კანაზუს დაწყებით სკოლაში, 1988-1990 წლებში – კანაზუს სამწლიან საშუალო სკოლაში, ხოლო 1991-1993 წლებში – ფუკის სამწლიან კოლეჯში. 1994 წელს ჩაირიცხა ტოკიოს უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1998 წელს ზოგადი ენათმეცნიერების განხრით. გაიარა ტოკიოს უნივერსიტეტის ასპირანტურის პირველი ეტაპი – ე. წ. „მასტერ კურსი“, დაწერა სამაგისტრო შრომა და მიენიჭა მაგისტრის წოდება. ამჟამად ასპირანტურის მეორე ეტაპს – დოქტურანტურის სამწლიან კურსს – გადის. არის ტოკიოს უნივერსიტეტის დოქტორანტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი.

იასუჰირო კოჯიმა საქართველოში პირველად ჩამოვიდა 1998 წლის ზაფხულში თვენახევრით, მეორედ – 1999 წელს ასევე ხანმოკლე დროით, ხოლო 2000 წელს – ორი წლით. ტოკიოს უნივერსიტეტში მისი მეცნიერი ხელმძღვანელია პროფესორი ტასაკუ ცენოდა, ხოლო თსუ-ში – პროფესორი ელგუჯა ხინთიბიძე. ქართული ენის შესახებ რამდენიმე გამოკვლევა აქვს გამოქვეყნებული იაპონიაში. თსუ-ში აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე კითხულობს იაპონური ენის კურსს. იასუჰირო კოჯიმა აპირებს სადოქტორო დისერტაციის დაცვას ქართველური ენების შესახებ.

**თ. ხმალაძე – ბატონო იასუჰირო, როდის დაინტერესდით ქართული ენით და რამ გადაგაწყვეტინათ მისი შესწავლა?**

**იასუჰირო** – იაპონიაში უნივერსიტეტში ზოგად ენათმეცნიერებას ვსწავლობდი და მაშინ გავიგე, რომ სადღაც ქართული ენა არსებობს და დავინტერესდი. მაშინ იაპონიაში წავიკითხე ქართული ენის გრამატიკა, რომელიც ინგლისურად იყო დაწერილი და ასეთი წიგნით დავიწყე ქართული ენის შესწავლა და ამის მერე იაპონიაში გავიცანი ერთი ქართული ოჯახი, დავმეგობრდით და ხშირად დავდიოდი მათთან სტუმრად. ყოველთვის ვცდილობდი, მათთან ქართულად მელაპარაკა. თანდათანობით შევეჩვიე ქართულს და ბოლოსდაბოლოს გადავწყვიტე, რომ საქართველოში ჩამოვსულიყავი და აქ მესწავლა.

**– გაგიჭირდათ შესწავლა? ძნელი ენაა ქართული?**

– დიახ, ძალიან ძნელი, ბგერები – ძალიან სხვანაირია, ძნელი წარმოსათქმელი, უცხოელებისთვის მაინც; ძალიან რთული გრამატიკა აქვს.

**– ჩინურზე უფრო ძნელი? ჩვენში იტყვიან, როცა ძალიან გაუგებარია ვინმესთვის რამე, მაგისთვის ჩინურიაო?**

– ჩინურზე გაცილებით ძნელია, იმ ენათა შორის, რაც მისწავლია, ყველაზე ძნელია, მაგრამ ლამაზი...

**– კოჯიმა სან, ამბობენ, ქართველ კაცს ისტორიულად განსაკუთრებული სიყვარული აქვს თავისი ენისაო. ეს ქართველებსაც უთქვამთ და უცხოელებსაც. საინტერესოა, როგორ ჩანს ეს დამოკიდებულება თქვენი თვალით. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ეს არის ჩვეულებრივი დამოკიდებულება მშობლიური ენისადმი, რომ ყველგან ასეა და საერთოდ ასე უნდა იყოს. თუ ქართველებს განსაკუთრებულად გვიყვარს ჩვენი დედაენა?**

– რა თქმა უნდა, ეს ჩვეულებრივი რამ მაინც არ არის. მაინც ქართველები ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ თავიანთ ენას და პატივს სცემენ.

**– მე რატომღაც არ მგონია ასე.**

– შეიძლება ძალიან ბევრ რუსულ სიტყვას ხმარობდეს საუბარში კაცი, მაგრამ როცა ვკითხულობ გაზეთებს და წიგნებს, ძალიან იშვიათად ვხვდები უცხო სიტყვებს. ლექსიკა დაცულია.

**– კოჯიმა სან, როგორც ვიცით, იაპონური დამწერლობა რთულია, 2000-ზე მეტი იეროგლიფია.**

იდგა საკითხი დამწერლობის გამარტივებისა, ანბანურ სისტემაზე გადასვლისა. იაპონელებმა უდიდეს წარმატებას მიაღწიეს მეცნიერებასა და ტექნიკაში და დამწერლობის საკითხს არ თუ ვერ აგვარებენ. რა არის ამის მიზეზი?**

– იაპონური დამწერლობა ჩვენთვისაც ცოტა რთულია. ხანდახან ჩვენც გვიჭირს. ბავშვებსაც უჭირთ მათი სწავლა და მართლაც ზოგი ლაპარაკობს ანბანურ სისტემაზე გადასვლაზე, მაგრამ უმრავლესობა არ ეთანხმება. მაინც ტრადიციის სახით გრძელდება. მართლაც ძნელია, მაგრამ თუ კაცმა შეისწავლა ეს დამწერლობა, ძალიან ადვილად იწერება და იკითხება. ასეთი კარგი თვისებებიც აქვს.

**– იაპონიაში როგორია დამოკიდებულება მშობლიური ენის სიწმინდის დაცვის საკითხებისადმი, უცხო ენათა გავლენას როგორ უმკლავდებით, ვთქვათ ინგლისური ენისას.**

– ეხლა თანამედროვე იაპონიაში ძალიან დიდი ზეგავლენაა ინგლისურისა და ავიწროვებს. ჩინურის გავლენა ძველად იყო, ეხლა აღარ არის. ძალიან ცუდი მდგომარეობაა ამ მხრივ. ბევრ ინგლისურს ხმარობენ საუბარში. თუნდაც გაზეთებში და ჟურნალებში. წიგნებშიც ახალ, უცხო ტერმინებს ნერგავენ. მე წინააღმდეგი ვარ და არ მომწონს.

**– იაპონიაში არსებობს რაიმე საკანონმდებლო აქტი, რომელიც განსაზღვრავს იაპონიის მოქალაქის დამოკიდებულებას სახელმწიფო ენისადმი?**

– ესეთი რამ არ არსებობს. ამის გარეშეც ვახერხებთ პატრონობას.

**– უმაღლეს სასწავლებლებში მიღებისას იაპონურ ენაში გამოცდას თუ აბარებენ, იაპონური ენის ცოდნის დონე თუ მოწმდება?**

– მისაღები გამოცდები იაპონურ ენაში ყველგან არის, ყველა სპეციალობაზე.

**– რას იტყოდით იაპონიაში რადიოსა და ტელევიზიის ენაზე. როგორია უცხოენოვანი გადაცემების წილი საერთო საეთერო დროისა?**

– თითქმის არ არსებობს ინგლისურენოვანი გადაცემა, ან სხვა უცხოენოვანი; საერთოდ არ არის და მხოლოდ იაპონურ ენაზე მიდის გადაცემები. ძირითადად სუფთა ენაზე საუბრობენ, მაგრამ მაინც არის მიდრეკილება უცხო სიტყვებისადმი.

**– თქვენ თბილისშიც მშობლიურ ენას ემსახურებით. იაპონურ ენას ასწავლით უნივერსიტეტში. თბილისში ყოფნის ვადა გიმთავრდებათ და სექტემბერში წასვლას აპირებთ სამშობლოში. ვინ გააგრძელებს თქვენს საქმეს. არა გაქვთ სურვილი თბილისში კვლავ ჩამოხვიდეთ და პედაგოგიური საქმიანობა განაგრძოთ?**



იოსუკირო ტაო-კლარჯეთში, ოთხთა ეკლესიის ეზოში

– მე 2 წლით ვარ ჩამოსული და მერე უნდა წავიდე. ეხლა უკვე ბევრი ქართველია საქართველოში, ვინც იცის იაპონური ენა და ამიტომ მათ შეიძლება გააგრძელონ ჩემი საქმე. მე დიდი სურვილი მაქვს, რომ ისევ ჩამოვიდე და მქონდეს კონტაქტი აქაურობასთან.

**– ხომ არ ფიქრობთ, იაპონელები ქართული ენით დააინტერესოთ და ქართული ასწავლოთ; ქართველოლოგიური ჯგუფი შექმნათ.**

– აქამდე იაპონიაში მაინცდამაინც არ იყო სურვილი საქართველოსადმი. ეხლა ცოტა გამოჩნდა ინტერესი. თუ ისეთი საშუალება მექნება, მინდა ვასწავლო ქართული ენა და გავავრცელო.

**– როგორც გავიგე, თქვენ კარგად იცნობთ ქართულ ლიტერატურასაც, ყველაზე მეტად რომელმა პოეტმა მოახდინა თქვენზე დიდი შთაბეჭდილება?**

– ლექსები ძალიან მიყვარს და მართლაც კარგი ლექსებია ქართულ ენაზე დაწერილი; გ. ლეონიძის, გ. ტაბიძის, ლ. ასათიანის ლექსები მიყვარს.

**– საყვარელ ლექსს ზეპირად სწავლობს ადამიანი და თქვენ თუ იცით თქვენი საყვარელი ლექსი ზეპირად?**

– რამდენიმე.

**– ერთ-ერთს ხომ არ გვეტყოდით?**

– დიახ, ბატონო, ჩემი უსაყვარლესი ქართული ლექსია „ყივჩაღის პაემანი“ (იგი ზეპირად კითხულობს გ. ლეონიძის „ყივჩაღის პაემანს“.)

**– როგორც ვიცი, თქვენ მარტო ქართულ ენას არ სწავლობთ თბილისში...**

– ახლა უნივერსიტეტში კავკასიურ ენებს ვსწავლობ და მათ შორის მეგრულსაც და სვანურსაც.

**– მეგრულად ან სვანურად ხომ არ იცით რაიმე ლექსი?**

– ერთ ლექსს ვიტყვი მეგრულად. (იგი კითხულობს მეგრულ ლექსს „მზე დაედაა ჩემი...“)

**– რომელი ქართველი პროზაიკოსი მოგწონთ სხვებზე მეტად?**

– რაც დავიწყე ქართული ენის შესწავლა, ჩემთვის პირველი წიგნი იყო ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. თავიდან ჩემმა მეგობრებმა მომიტანეს ეს წიგნი და მითხრეს, რომ ძალიან სასაცილოა, იუმორით არის გაჯერებული; მართლაც ძალიან კარგი წიგნია და წავიკითხე. მართლაც ძალიან მომეწონა, შემიყვარდა. სხვა რომანებსა და მოთხრობებსაც ვკითხულობ. საერთოდ ძალიან მომწონს ქართული ლიტერატურა.

**– თარგმნასაც ხომ არ აპირებთ?**

– „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ ტექსტი უკვე გადათარგმნილი მაქვს და ეხლა ვამზადებ გამოსაცემად. მას შემდეგ, რაც იაპონიაში დავბრუნდები, ვაპირებ წიგნის გამოცემას.

**– წიგნის გამოცემა იაპონიაში ისევე ჭირს, როგორც ჩვენთან, თუ იქ შედარებით იოლია?**

– ალბათ, შედარებით იოლია, ვიდრე აქ.

**– კოჯიმა სან, თქვენ პოეტებიდან გიორგი ლეონიძე გამოარჩიეთ. რა გიზიდავთ მის შემოქმედებაში: პოეტური აზროვნება, ენა, როგორც ორიგინალური და თავისთავადი, თუ სხვა რამ?**

– ძნელია ამაზე პასუხი.

**– თქვენ თარგმნეთ ნ. დუმბაძის რომანი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, რით გამოარჩიეთ სხვათაგან? გაიგებენ იაპონიაში ქართულ იუმორს?**

– როცა პირველად წავიკითხე, გამიკვირდა, ისეთი ქართული იუმორი იყო, იაპონელებისთვის ძნელია გასაგებად. მერე ნელ-ნელა შევეჩვიე, მაგრამ ისე გადავთარგმნე, იაპონელებმაც რომ გაიგონ. არა მარტო იუმორი, არამედ სიყვარული, მეგობრობა, რაც არის ამ რომანში; გაიგებენ იაპონელებიც.

**– თუ გააგრძელებთ მთარგმნელობით საქმიანობას, კიდევ რის თარგმნას აპირებთ?**

– ეხლა ნელ-ნელა ვკითხულობ ქართული ლიტერატურის ნიმუშებს და მომწონს და დიდი იმედი მაქვს, რომ გავაგრძელებ და გავაცნობ იაპონელებსაც ქართულ ლიტერატურას.

**– ლექსების თარგმნა ხომ არ გიცდიათ?**

– პირადად მე მიმაჩნია, რომ ლექსების თარგმნა უცხო ენაზე შეუძლებელია და ჯერჯერობით არ ვაპირებ ლექსების თარგმნას.

**– იაპონურიდან თუ აპირებთ ქართულად თარგმნას?**

– ჩემს მეგობართან, რომელმაც კარგად იცის იაპონური, მასთან ერთად დავიწყე რამდენიმე იაპონური ლიტერატურის ნიმუშის თარგმნა ქართულ ენაზე.

**– ხომ არ წაგვიკითხავთ თქვენს საყვარელ ლექსს იაპონურად? (კითხულობს იაპონურად)**

– ქართულად დაახლოებით ასე ითარგმნება:

ზაფხულის ბალახებო,

ძლიერთა ოცნებების ნაშთებო.

**მ. ლომია – გასულ ზაფხულს თქვენ იმოგზაურეთ ტაო-კლარჯეთში. რატომ დაინტერესდით ისტორიული ტაო-კლარჯეთით და იქნებ მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე გვითხრათ ორიოდ სიტყვა?**

– შარშან ზაფხულს ვიყავი ერთი თვე თურქეთში. იქ წასვლის მთავარი მიზანი იყო ლაზური ენის გაცნობა-შესწავლა. ლაზეთში ვიყავი პირველად და ვსწავლობდი. მეგრულს ძალიან ჰგავს და ჩანაწერებს ვაკეთებდი. მის მერე ცოტა დრო მქონდა, რომ წავსულიყავი ქართულ ეკლესიებში, რომლებიც თურქეთის ტერიტორიაზეა დარჩენილი და რამდენიმე ვნახე: იშხანი, ოთხთა ეკლესია, ტბეთი და შატბერდი. ეს ოთხი ეკლესია ვნახე. ძალიან ბევრი ფოტოსურათი ჩამოვიტანე (ნაწილს ამ ფოტოსურათებისას ვბეჭდავთ გარეკანის მე-3 და მე-4 გვერდებზე. – რედ.)

**თ. ხმალაძე – ძალიან დიდ საქმეს აკეთებთ ქართული კულტურისათვის, ქართველი ხალხისთვის, ჩვენთვის ყველასთვის და მადლობის მეტი რა გვეთქმის... დიდი მადლობა სტუდიაში მობრძანებისთვის.**

# ქართული პრესის „ლიდერთა“ ქართული!..

**ალია**

№ 154 - 156, 2001 წ.

მასე არ უნდა...

ძნელი სათქმელია...

ამბლოკის დაბლოკვით...

ზარალზე გადის...

საკუთარი ინტერესების შესაბამისად გაიხარჯა...

ხელმძღვანლის არჩევა...

20 ნოემბრის ღამით მოხდა...

რამოდენიმე დღის უკან...

ჯერ ძაან გაჭირდება... ძაან მინდა...

თავი დავანებე, რა ... არიან, რა, ჩუმად...

ვერ აღსდგება...

იგივე კურსს გადიან...

ფაქტი, რომ მხოლოდ ორი დღის წინ დამტკიცებულ მინისტრსა და ესპანელ დიპლომატებს შორის კონტაქტი უკვე სახეზეა, კ. ნარჩემაშვილის პრობლემის დარეგულირების სურვილზე მეტყველებს.

ამდენი რესტორნები და სასტუმროებია თბილისში...

გაანთავისუფლეს... ყავს... კოსტუმს...

„ღვინის ქარხანა ახაშენის“ დირექტორი...

სოლო-კონცერტი... სოლო-მომღერალი... სოლო-კარიერა...

**ახალი თაობა**

№ 323, 2001 წ.

გადავდექი იმისთვის, რომ გავაკეთე ჩემი პოლიტიკური არჩევანი...

იგივე ტემპებით...

ეს გასროლა გამოყენებული იყო შენობაში განთავსებულ ერთ-ერთ ფირმაზე...

წერილში წიქვაძე მიუთითებს, რომ პატიმრობა მას ფიზულისიანებმა გაუწაღირეს...

ჭკუაზე გადავიყვანე...

ზაკაზი მომცა ოთხჯერ...

ჩვენთან აზროვნების ჩატარების პრაქტიკაც როგორაა დამკვიდრებული...

სააკაშვილი თავისი გუნდით აქციების აღიარებას შეძლებს...

ქვორუმი არ შედგა...

პროკურორი და სასამართლოს თავმჯდომარე წინააღმდეგნი წავიდნენ მისი განთავისუფლების...

ნახსენებია ზურაბ ლომაშვილი, რომელიც ლომაძეა ორი აბზაცის შემდეგ...

გაბრიჩიძის პროკურატურაში ყოფნის დროს ქალაქის პროკურატურაში ისეთი უარყოფითი მოვლენები ხდებოდა, რომელიც არასოდეს ყოფილა პროკურატურის ისტორიაში...

მათი კანდიდატურები სულ გლიჯინ-გლოჯინით გავიდა...

**ახალი ვერსია**

№ 19, 2001 წ.

მას თავზე მძიმე შერყევა აქვს...

მათ ძალიან ძლიერი თავის ტვინის ტრავმა აქვთ, ასევე, სხვა დაზიანებებიც, მაგრამ მათი წამყვანი დაავადება თავის ტვინის ტრავმებია...

გაეხარდება...

ფორმალურად ეს ფუნქცია შემდეგში მდგომარეობს...

საჯაიას მსგავსი არასდროს გაუკეთებია...

გთავაზობთ საუბრის აუდიოჩანაწერს (გაზეთში?)...

საღამოს მეოთხე სასწავლებელში რომ მიხვალ, ან იმ ლექციას რა ხარისხი ექნება, ან იმ სტუდენტებისგან რა უკუგება?..

აქ დარღვევა კი არ არის, აქ არის პოლიტიკური საკითხი...

პოლიცია მას 33000 დოლარს უფიქსირებს...

მინდა ხმამაღლა დავაფიქსირო...

ამას დიდი მთავრობის კაცები ჩადიან...

გარყვნილმა როკ-ენ-როლმა სიქალწულე ბურდულის სახლში შეინარჩუნა...

შეიძლება სასარგებლო პავილიო მოიხარშოს...

მარგანინი...

ფარონიდან...

წიგნით სჭამს პურს...

აქ წარმოდგენილი მასალა მხოლოდ წვეთია ზღვაში... არარას ვამბობთ მექანიკურ, კორექტურულ და პუნქტუაციურ შეცდომებზე, რომელთა დათვლა მართლაც შეუძლებელია.

გვერდი მოამზადეს თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტებმა ლელა ტეფნაძემ, თინათინ თურქიამ, ეკა ჩალაგაშვილმა და ნათია თოდუამ.

# საით მივყავართ ამ გზას?

არცთუ ისე შორეულ წარსულში თავს ვიწონებდით, პირველ ადგილზე ვართ განათლების მხრივ. უმაღლეს დამთავრებულთა რაოდენობითო...

ეს იყო მაშინ, როცა საქართველოში 20-მდე უმაღლესი სასწავლებელი გვქონდა. დღეს 200-ზე მეტი უმაღლესი სასწავლებელი გვაქვს... მაშინ ერთი უნივერსიტეტი იყო; დღეს არც უნივერსიტეტებს აქვს სათვალავი...

შედეგი?

„დუტას შოუში" საკონკურსოდ შერჩეული 10 კაციდან ოთხი სიტყვის ანბანთ რიგზე დალაგებას 3-4 კაცი ახერხებს!..

რა ერქვა ილიას მამას; ერეკლეს დროს ვინ ცხოვრობდა – სულხან-საბა, ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი... – ეს „რთული კითხვებია", პირველს ფილოლოგმაც ვერ უპასუხა...

რამდენი კვადრატული მილიმეტრია კვადრატულ სანტიმეტრში; რა აღინიშნება ნიშნით W – ვატი, ვოლტი, ვოლფი თუ სხვა; და სხვა, და სხვა... არ იცოდა ოცი ათასის მსურველმა... არაა ეს არცოდნა არცოდნა... მაგრამ როცა ტელეჟურნალისტი გადაცემას ამზადებს, წიგნში ხომ უნდა ნაიხედოს? ასეთი მაგალითებიც არაა ცოტა.

„მაესტროში" მამუკა ღლონტმა შეკითხვა დასვა, რა იყო ფარსმან სპარსის ნამდვილი სახელი და გვარიო და ეკრანზე დაწერილი არცერთი პასუხი სწორი არ იყო... წამყვანმა, როგორც იქნა, „მიახვედრა" მაყურებელი, სწორი პასუხი ბაქარ ჯორჯანელიაო...

სოსო თოლორაიამ კითხვა დასვა, ვინ არის ავტორი „გაყრისაო"; სამი სავარაუდო პასუხი მისცა: ილია ჭავჭავაძე, რაფიელ ერისთავი, ეგნატე ნინოშვილი! „მიახვედრა" მაყურებელი, რომ სწორი პასუხია რაფიელ ერისთავი და წამყვანი დიდხანს ვერ ფარავდა ემოციას...

შეკითხვა დაუსვეს ტელემაყურებელს, რომელი უმაღლესი სასწავლებელი გაიხსნა პირველად საქართველოში. მაყურებელს არ „ჩაუთვალეს" – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი – „გუპეიო", უთხრა წამყვანმა...

მეცხრე არხზე გადაცემაში „ჭკუისკოლოფი" სკოლებიდან სწავლით გამორჩეული მოწაფეები გამოჰყავთ და რა კითხვებზე ვერ უპასუხებენ, შეგეცოდება, რომ უყურო...

არ ვიცი, როდის მოხდა ბაზალეთის ომი, ბავშვი ვიყავიო მაშინო – არ რცხვენია ამის თქმა უნივერსიტეტისა და ქვეყნის უკეთესად მოწყობის მსურველ სტუდენტებს...

ამგვარი მაგალითების გაზრდა, ჩვენდა საუბედუროდ, უსასრულოდ შეიძლება, მაგრამ...

მაგრამ ჩვენ ეს ფაქტები სალაღობოდ არ მოგვიტანია. ეს უბედურებაა ჩვენი; ეს უბედურებაა ჩვენი სკოლისა; ეს უბედურებაა ჩვენი საზოგადოებისა; ეს უბედურებაა ჩვენი ქვეყნისა...

ვიფიქროთ ამაზე!.. და, რაც მთავარია, ვიღონოთ რამე....




ეს წიგნი გამომცემლობა „ლოგოს პრესმა" გამოსცა თბილისში.

წიგნი გამოიცა ფონდის „ღია საზოგადოება – საქართველო" ფინანსური მხარდაჭერით. ქართულად თარგმნეს მარი მესხმა და ლია სანიკიძემ. ქართული გამოცემის რედაქტორია ლაშა ბერაია.

ამ წიგნის გამოცემა თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტია, მით უმეტეს, ასეთ მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე. მაგრამ რას ნიშნავს „ქალის ადამიანის უფლებები ნაბიჯ-ნაბიჯ?"...

ორიოდე ციტატაც ინგლისურენოვანი გამოცემის რედაქტორ-გამომცემელთა სამადლობელო წერილის თარგმანიდან „ეს სახელმძღვანელო ასახავს მრავალი ადამიანის წვლილს და დახმარებას ჩვენს მიერ პროექტის დაწყებიდან ორი წლის განმავლობაში..." „ადვილი შესაძლებელია ეს წიგნი არ შემდგარიყო"... „მადლობა Xanthus Design-ს მისი იდეებისათვის და დახმარებისათვის წიგნის დიზაინის და გარეგნული იერსახის შექმნისას..."

დიდად დასანანია, რომ ასეთი გამოცემა ამგვარი ქართულითაა „დამშვენებული".

# ქართული გაზეთის წასაკითხად საკმარისია ქართულის ცოდნა?

ჩვენს პრესაში ქართული ენის სიწმინდის დაცვის პრობლემები თანდათან მრავლდება. არასწორ ფორმათა სიჭარბე, სამწუხაროდ, აღარავის უკვირს. გრამატიკული, ორთოგრაფიული თუ პუნქტუაციური შეცდომები აღარავის ეუცხოება. ხშირად შენიშვნას ღიმილით ისმენენ... კორექტურული შეცდომები ჩვეულებრივ მისატევებელ ცოდვად ითვლება; ხშირად კომპიუტერს დავაბრალებთ ჩვენს დაუდევრობას... და ესეც ჩვეულებრივ ამბად იქცა...

ერთი საკმაოდ სერიოზული საფრთხე ინერგება ჩვენს პრესაში: უცხოური სახელწოდებები, დასახელებები, მთელი წინადადებებიც კი ხშირად უცხოური შრიფტითვე უთარგმნელად და განმარტების გარეშე გამოაქვთ ქართულ ტექსტში. თუ ვერ თარგმნიან და ვერ აქართულებენ, ეს ერთი უბედურებაა... თუ არ მიიჩნევენ ამას საჭიროდ, ეს – მეორე. არადა მკითხველმა რამდენი ენა უნდა იცოდეს, ქართული გაზეთი რომ წაიკითხოს?

ხშირად ეს ფაქტი დაუდევრობისა და დედაენისადმი უპატივცემულობის გამოვლენა რომ არის, იქიდან ჩანს, რომ ერთი და იგივე სიტყვა იწერება ერთსა და იმავე ტექსტში ქართულადაც და უცხოურადაც, ვთქვათ „მერსედესი“ და "Mersedes"...

უკონტროლოდ მომრავლებულ ჟურნალ-გაზეთებში ეს ფაქტია, მაგრამ ჩვენს გულისტკივილს ის იწვევს, რომ მრავალენოვანი ტექსტები გვხვდება ისეთ გაზეთებში, როგორიცაა „კვირის პალიტრა“ და „ახალი ეპოქა“ – სხვებთან შედარებით სერიოზულ გამოცემებში. დიდად დასანანია, მაგრამ ფაქტია...

მაგალითისთვის თითო ნომრიდან ნიმუშებს მოგაწვდით.

**„კვირის პალიტრა“** (№51, 348, 2001)

**ვიდეო ჩანაწერი ტელეკომპანია HTB-ით უჩვენეს...**

**ერთობლივ პრესკონფერენციაზე BAT-ის პარტნიორებმა...**

**VOLVO სერიულ მოდელებს...**

**ახალი მოდელები BMW-I კორპორაციისგან...**

**ახალ მოდელში კი Williams-ის ჯგუფის...**

**მას ნამდვილად არ გაუჭირდება თავის კატეგორიაში აღიარებული ფავორიტების – Mersedes CLK-ს, Jaguar XK8-ისა და თვით Porsche 911-თვის კონკურენციის გაწევა...**

**ამერიკაში მოქმედებს სტანდარტი FMVSS 208 და 214...**

**„ახალი ეპოქა“** (№100, 2001)

**ვინ დათვალოს NBA-ში ქართველები...**

**ცქიტიშვილი თითქმის NBA-ელია...**

**"Mortiy Crue"-ს დრამერის პრესმდივნის განცხადებით...**

**მომღერალს ჯგუფ "The CHillons"-ის სიმღერის "She's So Fine" მთავარი თემის მითვისებას აბრალებენ...**

**ჰარისონის ცნობილი ჰიტის – My Sweet Lord – ახლებური ვერსია...**

**BMW, ROVER, Land Rover, MG, MiNi- გენერალური იმპორტიორი საქართველოში...**

**NATO-ს გენერალური მდივანი...**

**მსოფლიო ბანკისა და USAID-ის წარმომადგენლობამ...**

*მერაბ ნინიძე*

— (პასუხი შეკითხვაზე — ყველაზე მეტად ვინ ან რა გენატრება ავსტრიაში?) — სამშობლო. მაგრამ იცი, რას მივხვდი? სამშობლო შენი ენა ყოფილა; საოცრად მენატრება ქართულ ენაზე ლაპარაკი. სამშობლო შენი ოჯახი ყოფილა — სულ დედაზე, მამაზე, ახლობლებსა და მეგობრებზე ვფიქრობ... სამშობლო ყოფილა შენი ბავშვობა...

*„კვირის პალიტრა“, №2, 2002 წ.*

# სძინავთ, ვიდრე ცოცხალთა ფიქრები არ გააღვიძებენ...

„– თქვენ სულ გძინავთ?
–ჰო, ბევრი გვძინავს, ვიდრე არ გამოგვაღვიძებს ცოცხალთაგან ვისიმე ფიქრი...
მაშასადამე, თქვენ სინამდვილეში არ მომკვდარხართ?
– რას ამბობ!.. ერთი უსმინეთ, რა გაუგებარ სიტყვებს ამბობს!..
ეს რა, რაღაც ახალი სიტყვაა, ახალი გამოგონება?..
– სიტყვა „დაიხოცნენ"?..
– დიახ, დიახ... ეს რას ნიშნავს?
– ასე ამბობენ იმათზე, ვინც უკვე აღარ არის ცოცხალთა შორის...
– უცნაურია!..
– კი მაგრამ, აქ თქვენ თავს კარგად გრძნობთ?..
– არცთუ ურიგოდ, არცთუ. მაგრამ აი, იქ ჩვენთვის რომ ილოცებდეთ კიდეც...
–მამა ამბობს, რომ ლოცვა არ არის საჭირო.
– როგორ არ არის საჭირო!
როგორ არ არის!.. ილოცო –ნიშნავს გაიხსენო..."

*მორის მეტერლინკი, „ლურჯი ფრინველი"*

მეტერლინკისეული ლურჯი ფრინველის მაძიებარი ბავშვები საიქიოშიც მოხვდებიან და აღმოაჩენენ, რომ სიკვდილი ძილი ყოფილა, რომელსაც სააქაოს მკვიდრთა მოგონება არღვევს ხოლმე; მხოლოდ მაშინ იღვიძებენ "იქაურები" და მათი "იქაური ცხოვრებაც" ამ მომენტებით აითვლება.

თითოეულ ჩვენგანს უფიქრია (და არცთუ ცოტა) იმაზე, თუ როგორ შეიძლება წარსულთან სულიერი კონტაქტის დამყარება, როგორ შეიძლება წარსულის სტატიური **ძეგლების** მიღმა დინამიური ცხოვრების **შეგრძნობა-დანახვა**. ყოველ ჩვენგანს განუცდია ასეთი წამები და გულდაწყვეტით უგრძნია ასეთ წამთა შენერების შეუძლებლობა...

2002 წლის 17 დეკემბერს მე ასეთ წამს შევხვდი და ეს წამი მაშინ შეყოვნდა კიდეც...

ბაგრატიონ-მუხრანელთა თბილისურ სახლში, სადაც ახლა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოებაა დავანებული, მოსწავლეთა მხატვრული აღზრდის სტუდიამ – **"ადგილის დედამ"** – არაჩვეულებრივი წარმოდგენა გამართა, სახელწოდებით **"შობა-ახალწელიწადი მამა-პაპურად"**.



ახალგაზრდა შემოქმედებმა სტუმრები (მაყურებლები) ბაგრატიონთა მარანში მიიღეს, ქართული აგურით ნაშენებ თაღოვან მოგრძო დარბაზში, სადაც კულუარების უქონლობისა და მაყურებელთა სიმრავლის გამო სპექტაკლის მომწყობნი და გარეშენი ერთმანეთში ირეოდნენ. იქნებ ამიტომაც, წარმოდგენის მომლოდინეთა საუბრები და სარეპეტიციო ფრაზების უცნაური ერთიანობა ერთგვარი თანაშემოქმედებითობის ატმოსფეროს ქმნიდა. შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენა უფრო ადრეც დაიწყო, ვიდრე პირველი სცენიური სიტყვა გაისმა. წარმოდგენა დაიწყო პაწია დერეფნით, სადაც ბავშვებს საკუთარი ხელით ნაკეთები (თუ შექმნილი?) საშობაო სუვენირები გამოეფინათ. წარმოდგენა დაიწყო **"მაყურებელთა დარბაზითაც"**, როცა სტუმარ-მასპინძელნი ერთმანეთს ეცნობოდნენ და ესალმებოდნენ... და მაშინაც, როდესაც სტუდიის ხელმძღვანელმა და სპექტაკლის სულის ჩამდგმელმა ნანა ხოჯოლავამ მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა, ეს ერთობა და ბუნებრიობა არ წაშლილა. დარბაზი ადვილად აჰყვა მასპინძელთა პირობას – "მთავარია თამაში და დაჯერება" და მიენდო შემოთავაზებულ მარშრუტს, რომელიც საქართველოს დროსა და სივრცეში გადიოდა. დრო წარსული იყო, პირობითი წარსული, არც ისე შორეული, არც ისე დავიწყებული, არც მთლად უცნობი... სივრცეც – ახლობელი და ნაცნობი: სვანეთი, ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო... ქმაწვილები თამაშობდნენ თავიანთ ბებიებსა და ბაბუებს, მათი ბებიებისა და ბაბუების ბებიებსა და ბაბუებს და უფრო შორეულ პაპებსა და პაპის პაპებს... და ჩვენ ვცნობდით ჩვენს წინაპრებს, ვცნობდით მათ სიტყვებს, მათ რიტუალებს, რომლებსაც, შესაძლოა, არცთუ მთლად სრულად, მაგრამ მაინც ვიმეორებთ და ვიცავთ ჩვენს ოჯახებში, რომელთაც დიდი გატაცებით

ვუერთდებით სოფელში სტუმრობისას, რომელთა რიტუალურ ფრაზებსაც უხერხულად ვბუტბუტებთ მრავალბინიან სადარბაზოებში მეკვლედ მისულნი და კარებთან ატუზულები, როდესაც დაკაკუნებისას სამზის გვეკითხებიან: "ვინა ხარ?", "რა მოგაქვს?"...

და აი, ამ პატარა დარბაზში ამ პატარა მახპინძლების წყალობით დაიძლია ჩვენი მორცხვობა. ჩვენ შევძელით გვერდიდან დაგვენახა ჩვენი ტრადიცია, მისი ესთეტიკა, მისი სიბრძნე, სხვადასხვა კუთხის ნაირგვარი იმპროვიზაციები, სიმღერის ლაზათი, ცეკვის შნოიანობა, კოსტიუმების სისადავე და დახვეწილობა, ლექსიკის სიმდიდრე. ბავშვები სხვადასხვა კუთხის ტრადიციებს სცენურად განასახიერებდნენ: გვატარეს ალილოზე და შეგვაჭყეტინეს ქართველი გლეხის სამზადში, საიდანაც მგონი ფიზიკურად შევიგრძენით საახალწლო ჩუგბარის დამზადებისას დატრიალებული თაფლისა და ნიგვზის სურნელი, შეგვათვალიერებინეს საკუთარი ხელით დამზადებული გვერგვი თუ ხელადა, გვაწვიეს თავადაზნაურობის ლხინსაც… იყო ხალხური სიმღერა და ცეკვა, ბაფთიანი გიტარა და ქალაქური რომანსი, ლექსი და იუმორი...





და რაც მთავარია, უცებ გახდა ნათელი, რომ არ არის წარსული და აწმყო, რომ ისინი თანაარსებობენ, არ არის არავითარი ძველი და ახალი ენა, ენა მთლიანია, არც სალიტერატურო ენასა და დიალექტს შორისაა გადაულახავი ზღვარი, საკმარისია დიალექტური მარგალიტები მწერლის მადლიან ხელში მოხვდნენ და **"გალიტერატურულდნენ"**, არც სიტყვები დაძველდებიან, თუკი პერიოდულად გავიხსენებთ და გავაცოცხლებთ... და არც საიქიო იქნება ასე უნუგეშოდ მოწყვეტილი, თუკი "იქაურებს" ხშირად ვახსენებთ, თუკი ჩვენი ფიქრითა და ლოცვით გამოვაღვიძებთ....

მეტერლინკის გმირები თავიანთ ბებო-პაპას ასე ემშვიდობებიან:

"...– მშვიდობით, ბებია, მშვიდობით, ბაბუა...

– მოდით ყოველდღე.

– კარგი, კარგი! ჩვენ მოვალთ თქვენთან, რაც შეიძლება ხშირად...

– ჩვენ მხოლოდ ეგა გვაქვს სიხარულად! როდესაც თქვენი ფიქრები მოგვაკითხავენ – ჩვენთვის ნამდვილი დღესასწაულია..."

შესანიშნავმა და მომხიბლავმა პედაგოგებმა ნანა ხოჭოლავამ, თინათინ გაბოძემ, ნინო ქარცივაძემ, რუსუდან ჩიქოვანმა, დალი ცანავამ ლამაზ, ჭკვიან და მრავალმხრივ ნიჭიერ ბავშვებთან ერთად წარსულთან გვასტუმრეს და წარსული მოიყვანეს ჩვენთან.

მე პირადად კი მეჩვენებოდა, რომ ბაგრატიონ-მუხრანელთა თბილისური სახლის მარანში იმ დღეს ათასფერა ჩიტუნები გალობდნენ და ჯადოსნურმა ლურჯმა ფრინველმაც რამდენჯერმე გადასერა დარბაზის სივრცე.

**მანანა ტაბიძე**

# „სრულ იქმნას სულითაც და ხორცითაც"

„ათონის მთა რომ არ ყოფილიყო, არ იქნებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. რომ არ ყოფილიყვნენ მთაწმინდელები, არ იქნებოდა დიდი ივანე ჯავახიშვილი და მისი თანამოღვაწეები. ხომ ბედნიერებაა, რომ ერთნიც იყვნენ და მეორენიც", — შალვა ნუცუბიძის ეს სიტყვები, გელათის ტაძრის კედელზე გამოსახული არქიტექტურული დეტალი — მზე გაშლილი წიგნის ფონზე, გრიგოლ ხანძთელის „საწელიწდოჲ იადგარი" და ბევრი სხვა რამ მიანიშნებს, რომ ძველ საქართველოში მონასტერი განათლებისა და კულტურის კერადაც მოიაზრებოდა, რადგან მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოება მწიგნობრული რელიგიაა.

ტრადიციათა აღორძინება ღირსეულ შთამომავალთა წესია... თბილისში, ისნის რაიონში ფუნქციონირებს დამოუკიდებელი საერო გიმნაზია, რომელიც 7 წლის წინ დააფუძნეს პროფესიით ფიზიკოსებმა გოჩა აბდუშელიშვილმა და ქეთევან ლაბაძემ.

ქ-ნი ქეთევანი ბ-ნი გოჩას მეუღლე და თანამოაზრეა. ისინი სტუდენტობის წლებიდან ერთად მოდიან, ერთად ფიქრობენ და მსჯელობენ ქვეყნის ნათელ მომავალზე, თაობათა აღზრდაზე და სხვა უამრავ პრობლემაზე. ჰყავთ ორი შვილი — მეათეკლასელი თეონა და მეცხრეკლასელი ავთანდილი. „გიმნაზია რომ გავხსენით, პირველად ჩვენი შვილები მოვიყვანეთ. მაშინ III-IV კლასებში იყვნენ. გასაუბრება ღირსეულად რომ არ გაევლოთ, არ მივიღებდით", — ღიმილით იგონებს ბ-ნი გოჩა. პროფესიონალიზმი მისთვის უპირველესი ცნებაა. მომთხოვნელობა, წესრიგი, პასუხისმგებლობა მისი სტიქიაა. ამ შეგნებით დაიბადა გიმნაზიის დაფუძნების იდეა და ხორცი შეესხა კიდეც — „კეთილშობილური მიზანი ყოველთვის ბოლომდე უნდა მიიყვანო!"



დაფუძნებიდან ერთი წლის შემდეგ გიმნაზიამ ბინა დაიდო დღევანდელ შენობაში — მანქანათმშენებლობის ლიცეუმის II და IV სართულებზე, რომელიც დანგრეული იყო შენობის მარჯვენა მხარის მსგავსად (კარკასია მხოლოდ დარჩენილი!). მონდომებამ, საქმის სიყვარულმა და რწმენამ შეუძლებელი შეაძლებინა ბ-ნ გოჩას — 3 თვეში კუთვნილი ფართი კაპიტალურად გაარემონტა. ყველას ახსოვს სამუშაო ფორმაში ჩაცმული დირექტორი და საკუთარი სახლიდან მოტანილი კარ-ფანჯარა.

გიმნაზიის ნათელ დერეფნებსაც მზრუნველი ხელი ალ·ვია — ქოთნის ყვავილებს შორის გამოფენილია მოსწავლეთა ნამუშევრები: ნახატები, ნაქარგები, ნიჟარისაგან დამზადებული ფიგურები, გობელენით მოქსოვილი ფარდაგები, ფანტაზიით შექმნილი სხვადასხვაგვარი თოჯინები, გიმნაზიის ცხოვრების ამსახველი სტენდები...

7 წლის განმავლობაში ბევრი რამ მოხდა ღირსშესანიშნავი; მათ შორის ბ-ნი გოჩა ყველაზე მნიშვნელოვანს გამოყოფს:

„მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ რესპუბლიკურ კონფერენციებსა და ოლიმპიადებზე სხვადასხვა საგანში. გასულ წელს მოსწავლეთა 55-ე რესპუბლიკურ კონფერენციაზე VIII—IX კლასელებმა — თეონა და ავთანდილ აბდუშელიშვილებმა, ანანო კუბლაშვილმა, მორის კილასონიამ წარადგინეს ნაშრომები ქართული ლიტერატურის, ფოლკლორისა და ეთნოგრაფიის სექციებში. ოთხივემ I ხარისხის დიპლომი დაიმსახურა. მათემატიკის 54-ე რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე IV და VI კლასის მოსწავლეებს სიგელები და III ხარისხის დიპლომები ხვდათ წილად.

ორმა მოსწავლემ — სალომე კეკუტიამ და ბექა ნიკოლაიშვილმა დამოუკიდებლად დაძლიეს ორი სასწავლო წლის პროგრამა ერთ წელიწადში და განათლების სამინისტროში სათანადო გამოცდების ჩაბარების შემდეგ მინისტრის ბრძანებით ჩაირიცხნენ შესაბამის კლასებში.

2001 წლის 25 მაისი განსაკუთრებული დღეა საერო გიმნაზიის ცხოვრებაში. ამ დღეს ჩვენთან სტუმრად იმყოფებოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II, რომლის ლოცვა-კურთხევით გიმნაზიაში გაიხსნა ქართული საბრძოლო ხელოვნების დარბაზი, სადაც დაიზრდებიან ქვეყნის პატრონად ვარგისი ქართველი მამულიშვილები — XXI საუკუნის თაობა".

რით განსხვავდება თქვენი გიმნაზია სკოლებისაგან? — ისმენს ბ-ნი გოჩა, ვინ იცის, ალბათ მერამდენედ დასმულ შეკითხვას და აღნიშნავს: „დერეფანში მოწყობილი ეს ღია გამოფენები ბავშვების ხელითაა გაკეთებული და თავადვე უფრთხილდებიან მათ. ჩვენმა მოსწავლეებმა იციან შრომის ფასი, ამიტომ მოვლა-პატრონობის უნარ-ჩვევებიცა აქვთ გამომუშავებული. ზრუნავენ ერთმანეთზე, უფროსკლასელები — უმცროსკლასელებზე. იქ, სადაც მოყვასის სიყვარულია, კარგი მხვნელ-მთესველებიც დაიზრდებიან და კარგი მინისტრებიც.

ყოველივე ზემოთქმულის მიღწევა, ჩემი აზრით, განაპირობა იმან, რომ სულიერ აღზრდას ისეთივე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩვენს გიმნაზიაში, როგორიც გონებრივსა და ფიზიკურს. სამივე, მოგეხსენებათ, აღზრდის შემადგენელი ნაწილია და ერთმანეთს ავსებენ ჰარმონიულ სრულყოფილებამდე. როგორც დიდი ილია ბრძანებდა, „ჩვენი სხეული უნდა იყვეს ღირსეული ჭურ-

ჰელი უფლისა".

გიმნაზიას მჭიდრო ურთიერთობა აქვს შავნაბადას წმიდა გიორგის მონასტერთან. მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი შიო (ა. გაბრიჭიძე) გიმნაზიის მოძღვარიცაა.

შავნაბადას მთა თბილისის მახლობლად მდებარეობს. მასზე მონასტერია გაშენებული, რომელსაც 1992 წლიდან წინამძღვრობს მამა შიო. ძალზე სიმბოლურია, რომ მას პირველი წირვა 10 ივლისს ჩაუტარებია, მთაწმინდელების ხსენების დღეს. თავად მოძღვარი აღნიშნავს: „დიდი ცდელობის მიუხედავად მწირი ინფორმაცია მოვიძიე: შუა საუკუნეებში უნდა ყოფილიყო აქ ეკლესია აგებული. ვახუშტი ბაგრატიონს თავის დროზე რუკაზე აღნიშნული აქვს სოფელ ხატისასთან ახლოს მდებარე ეს მონასტერი (სოფ. ხატისა დღეს აღარ არსებობს). XIX საუკუნის დასაწყისში ძველის ადგილას ახალი ეკლესია აუგიათ. 1990 წლამდე, 150 წლის მანძილზე, ეს ეკლესია სომხების ხელში იყო".

მამა შიოს აქ დახვედრია ჩამონგრეული ტაძარი და სახურავმორღვეული სამრეკლო, საიდანაც წყალი ჩამოდიოდა. დღეს არქიტექტურულად სრულყოფილი კომპლექსია პატრიარქის რეზიდენცია (სადაც უწმინდესმა სამი ეპისტოლე დაწერა), სენაკები, სატრაპეზო, მარანი, მაგრამ იქაურობას მაინც მშენებარეს ეძახიან, რადგან, როგორც მამა შიო აღნიშნავს, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

გიმნაზიის მეცხრეკლასელებმა 2000 და 2001 წლის ივნისში ორი კვირა შავნაბადას მონასტერში გაატარეს. ამას საზაფხულო სკოლა ეწოდა, რადგან ბავშვები აქ დიდ გამოცდილებას იღებენ და ბევრსაც სწავლობენ.

რა ჰქონდა ჩაფიქრებული და რა დატვირთვა მიანიჭა საზაფხულო სკოლას გიმნაზიის დირექტორმა?

„საზაფხულო სკოლის პროგრამა ითვალისწინებდა კულტურულ დასვენებას — ექსკურსიებს, ლაშქრობებს, მსუბუქ ფიზიკურ შრომას: ბავშვები ტყეში აგროვებდნენ საკმეველსა და გირჩებს (ამ უკანასკნელს ზამთარში ცეცხლის დასანთებად იყენებენ მონასტერში), უფრთხილდებოდნენ მონასტრის შემოგარენს, რწყავდნენ ბოსტნეულს, დაამზადეს ეკლესიური სიწმინდეები, ხის ჯვრები (გიმნაზიაში ისწავლება ხეზე კვეთა და ბავშვები დიდი სიამოვნებით მუშაობდნენ მონასტრის ხის სამქროში), დილასაღამოს ლოცულობდნენ, ფეხბურთის სათამაშოდაც იცლიდნენ...

საზაფხულო სკოლის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ პედაგოგები: ქ. ლაბაძე, მ. ლომია, ბ. ნიქაცაძე, თ. ქემოკლიძე, ბ. ზაალიშვილი, ი. პაქსაშვილი, ნ. ბარჯაძე, ე. ბერიაშვილი.

მოსწავლეები სწავლის პროცესში



ჩვეულებრივ დადიან სასწავლებელში, ხვდებიან ერთმანეთს და ურთიერთობენ, მაგრამ სულ სხვაა, როცა ერთ ჭერქვეშ ათევენ ღამეს. ბავშვები ამ დროს ერთმანეთს უფრო მეტად უწევენ ანგარიშს, ერთმანეთისა უკეთესად ესმით. ახლოს ეცნობიან მონასტრულ ცხოვრებას და თავადაც უფრო ამტანები ხდებიან. ერთმანეთზე ზრუნვაში უნდა გამოიწრთონ, რადგან კაცის კაცობა ყველგან და ყოველთვის იმით იზომება, რამდენად შეუძლია მას დაიწვას და დაიხარჯოს სხვათათვის". ყველაზე მთავარი: ბავშვებმა შეიმეცნეს, რომ „ქრისტიანობა ესაა რელიგია სრულყოფილი სიყვარულისა, მარადიული სიხარულისა და უხვი ღვთაებრივი ენერგიისა" (კათოლიკოს-პატრიარქი ილია II).

მადლიერებითა და გულწრფელობითაა გამთბარი თავად მოსწავლეთა — გიორგი ბეკარაშვილის, ავთანდილ აბდუშელიშვილის, მერაბ კიპაროიძის, დავით კიკნაძის, მორის კილასონიას, რობიზონ გეთიაშვილის, გიორგი შაკიაშვილის, ზაზა თედელურის, ბექა ნიკოლაიშვილის, გეგა ბურდიაშვილის, ვლადიმერ გოგოლიძის ნაამბობი: — ორკვირიანმა საზაფხულო სკოლამ მასწავლა, რა არის დამოუკიდებელი ცხოვრების აზრი. მე დიდი სულიერი სიწმინდე ვიგრძენი, როცა მამა შიომ შავნაბადას მონასტერში პირველად მაზიარა.

— საზაფხულო სკოლამ ჩვენ ღვთის სიყვარული, მეგობრობა და ერთმანეთის გატანა გვასწავლა. დიდი მადლობა ჩვენს მასპინძელს — მამა შიოს.

— საზაფხულო სკოლა უდიდესი სულიერი საზრდოს მომცემია.

—წამოსვლისას გული დაგვწყდა.

— საზაფხულო სკოლამ უფრო მეტად შეგვაყვარა ერთმანეთი. ერთად ყოფნის ფასი გავიგეთ. ჩვენ გვინდა, გიმნაზიაში საზაფხულო სკოლის ტრადიცია დამკვიდრდეს.

ბ-ნი გოჩა აღნიშნავს: — ჩვენი გიმნაზია მინდა იყოს ეროვნული სულისკვეთებით დამუხტული მამულიშვილების სამჭედლო... — ვფიქრობ, მოსწავლეებისათვის მაგალითის მიმცემი უნდა იყვნენ გიმნაზიის ხელმძღვანელები და მასწავლებლები. როცა მასწავლებელი სულიერად მოწესრიგებულია, მას მოსწავლეებთან ურთიერთობა არ უჭირს.

მაია ლომია

**P.S. — ბოლო ორ წელიწადში ქართველები შეგვძრა და გაგვახარა იერუსალიმის ჯვრის მონასტრიდან საუკუნის დასაწყისში გატანილი განძის — ღვთისმშობლის ხატისა და ფრესკების — დაბრუნებამ. ეს არის ნიშანი სულიერი აღორძინებისა.**

**ღმერთმა ქნას, ჩვენმა აღზრდილებმაც დაიდონ წილი იბერიის გაბრწყინებაში.**



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტებად არჩეული იქნენ პროფესორი გუჩა კვარაცხელია და პროფესორი ზურაბ სარჯველაძე. „ბურჯი ეროვნებისა" ულოცავს მათ ამ წარმატებას და მომავალ გამარჯვებებს უსურვებს.



ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰ. 10.02 №7 სადისერტაციო საბჭომ (თავმჯდომარე აკადემიკოსი **თ. გამყრელიძე**)
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მიანიჭა

**თამარ ლომთაძეს**
**დისერტაციის თემა**: ქალაქური მეტყველების თავისებურებები (ქ. ქუთაისის მაგალითზე)
**სამეცნიერო ხელმძღვანელი**: პროფ. გ. გოგოლაშვილი
**ოფიციალური ოპონენტები**: ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი, პროფ. ი. ქობალავა, ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატი გ. ცოცანიძე
დისერტაციის დაცვა გაიმართა: 2001 წლის 12 დეკემბერს

**ელისო ქორიძეს**
**დისერტაციის თემა**: წინდებულების კლასის შევსებისა და ფუნქციონირების გაფართოების ტენდენციები თანამედროვე გერმანულ ენაში
**სამეცნიერო ხელმძღვანელი**: პროფ. ვ. ფურცელაძე
**ოფიციალური ოპონენტები**: პროფ. მ. პაიჭაძე, დოც. რ. თაბუკაშვილი
დისერტაციის დაცვა გაიმართა: 2001 წლის 12 დეკემბერს

**ზურაბ ბეჟანოვს**
**დისერტაციის თემა**: ინგლისური ენის ახალი ლექსიკის პრაგმალინგვისტური ანალიზი სოცდიფერენციაციის ასპექტში
**სამეცნიერო ხელმძღვანელი**: პროფ. რ. ენუქიძე
**ოფიციალური ოპონენტები**: პროფ. ი. ფხაკაძე, დოც. ო. მათეშვილი
დისერტაციის დაცვა გაიმართა: 2002 წლის 9 იანვარს

**ნინო დვალიძეს**
**დისერტაციის თემა**: პუბლიცისტური ტექსტის თხრობითი დინამიკის ლინგვისტური ორგანიზაცია (ინგლისურენოვანი ესეის მასალაზე).
**სამეცნიერო ხელმძღვანელი**: პროფ. რ. ენუქიძე
**ოფიციალური ოპონენტები**: პროფ. ი. ფხაკაძე, დოც. დ. მგელაძე
დისერტაციის დაცვა გაიმართა: 2002 წლის 9 იანვარს

• • •

2002 წლის 8 იანვარს გაიმართა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის საჯარო სხდომა, რომელიც მიეძღვნა აკადემიკოს **ვარლამ თოფურიას** ხსოვნას. პროფ. **დამანა მელიქიშვილმა** წაიკითხა მოხსენება – **„ქართული ზმნის უღვლების სისტემა"**. ფაქტობრივ შედგა ამავე სახელწოდების წიგნის წარდგინება. მსჯელობაში მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა ენათმეცნიერებმა.

• •

2002 წლის 28 იანვარს გაიმართა თსუ ახალი ქართული ენის კათედრის დოცენტის, ცნობილი ენათმეცნიერის, პოეტისა და მთარგმნელის **ნია აბესაძის** მოსაგონარი საღამო, რომელიც მიეძღვნა მისი დაბადების 70 და გარდაცვალებიდან 10 წლისთავს. სიტყვებითა და მოგონებებით გამოვიდნენ ე. ბაბუნაშვილი, ზ. ჭუმბურიძე, ი. კიკნაძე, ჯ. ჭუმბურიძე, ა. გეწაძე, ნ. კოტინოვი, ო. ბაქანიძე, ნ. ტაბიძე, ი. ორჯონიკიძე, ჯ. ნარკვიანი, ლ. კიტია, მ. ქურდიანი, შ. აფრიდონიძე, ა. გომართელი.

საღამო გაიმართა ფილოლოგიის ფაკულტეტისა და ახალი ქართული ენის კათედრის ინიციატივით.

• • •

2002 წლის 12 თებერვალს გაიმართა **ბ. ჯორბენაძის საზოგადოების VIII სამეცნიერო კონფერენცია**. მოხსენებები წაიკითხეს: ნ. კოტინოვმა, ნ. ჭუმბურიძემ, ნ. ლოლაძემ, ნ. მამისეიშვილმა, მ. ნანანიძემ, რ. გერსამიამ, ზ. კიკვიძემ, მ. ქურდიანმა.

კონფერენციის მასალები გამოქვეყნდა.

• • •

2002 წლის 26 თებერვალს გაიმართა თსუ ძველი ქართული ენის კათედრის გაფართოებული სხდომა, რომელიც მიეძღვნა აკადემიკოს **აკაკი შანიძის** დაბადებიდან 115-ე წლისთავს. სიტყვები თქვეს და მოხსენებები წაიკითხეს: ზ. სარჯველაძემ, რ. მეტრეველმა, მ. შანიძემ, ზ. ჭუმბურიძემ, ალ. ფოცხიშვილმა, გ. კარტოზიამ, ს. სარჯველაძემ, ნ. დობორჯგინიძემ.











იშხნის მონასტერი

ფოტო იასუჰირო კოჯიმასი

